№ 74

პარასკევი, 13 მაისი

გაზეთის ფასი დამატებით: წელიწადში 10 მან., ექვს თვეში 5 მან. თვეში 1 მანათი.

რედაქციასთან მოლაპარაკება შეიძლება ყოველ დღე, უქმეებს გარდა, დილის 11-დან 12 საათამდე.

დასაბეჭდი წერილები რედაქციის სახელზე უნდა გამოიგზავნოს; წვრილ წერილებს რედაქცია არ ინახავს, ვრცელი წერილები ინახება ერთის თვის განმავლობაში.

ფოსტ. ადრესი: Тиф., Ред. „Иверія“.

ცალკე ნომერი 3 კაპ.

1877—1905

ივერია

ყოველ-დღიური საპოლიტიკო და სალიტერატურო გაზეთი

№ 74

პარასკევი, 13 მაისი

განცხადების ფასი: ჩვეულებრივი სტრიქონი პეტიტით პირველ გვერდზე 12 კაპ., უკანასკნელზე 10 კაპ., წლიური განცხადება—მორიგებით.

განცხადება რუსეთიდან და საზღვარ-გარეთიდან მიიღება ლ. და ე. მეტცლის და ამხ. კანტორებში—მოსკოვსა, პეტერბურგსა და ვარშავაში.

ხელის მოწერა და დასაბეჭდი ადგილობრივი (კავკასიის) განცხადება მიიღება რედაქციაში: ფრეილინის ქუჩაზე, № 5.

ტელეფონი № 922.

ეროვნული ბიბლიოთეკა

რედაქციისაგან

„ივერიის“ რედაქცია გადავიდა ფრეილინის ქუჩაზე № 5.

საპოლიტიკო და სალიტერატურო გაზეთი

„ივერია“.

1905 წლის განმავლობაში რედაქცია დაურიგებს ხელის მომწერლებს

პრემიად 12 წიგნს

საერთო სათაურით: **„ივერიის ბიბლიოთეკა“**, რომელშიაც მოთავსებული იქნება: ბელეტრისტული და სამეცნიერო თხზულებანი და წერილები ქართველ და უცხო მწერალთა.

გაზეთში და საპრემიო წიგნებში იქნება მოთავსებული **სურათები** და **ილლუსტრაციები**.

გაზეთის ფასი: 1 მაისიდან წლის დამლევამდის 6 მან., რომლის გადახდა ნაწილ-ნაწილადაც შეიძლება. ვინც პრემიის უკვე დარიგებულ პირველ წიგნს მოისურვებს, 50 კაპ. უნდა გამოგზავნოს მის ფასად.

ცალკე ნომერი გაზეთისა ღირს 3 კაპ.

რედაქცია იმყოფება ფრეილინის ქუჩაზე, № 5.

საფოსტო ადრესი: Тифлисъ, Редакція газ. „Иверія“.

დღეს, პარასკევს, 13 მაისს, შუადღის 1 საათზე ქვაშვეთის წმ. გიორგის ეკლესიაში გადახდილ იქმნება პანაშვიდი **განსვენებულ თავ. მიხეილ ალექსანდრეს ძის**

ნაკაშიძის

სულის მოსახსენებლად, რასაც განსვენებულის პატივისმცემელთ აუწყებენ **ქუთაისის გუბერნიის თავად-აზნაურთა წინამძღოლი და ტფილისის გუბერნიის თავად-აზნაურთა წინამძღოლის მოადგილე.**

(1—1).

პირველი კერძო სამკურნალო

ექიმის ნავასარდიანისა

(კუკიაში, ვორონცოვის ძეგლის პირდაპირ)

ავადმყოფთ იღებენ ექიმები ყოველ დღე, კვირა დღეებს გარდა.

დილაობით:

მ. ყ. ჩიქოვანი.—9 საათიდან 10 საათამდე—თვალის შინაგანისა და ნერვების ავადმყოფობისა.

მ. გ. ავეტისიანცი. 11—12 საათამდე—კანისა და ვენერიულ-ხირურგიულ ავადმყოფობისა.

ზ. ი. ბაბანასოვი—დილის 11—12 საათ.—ქალისა და ბავშვთა ავადმყოფობანი.

ქ. ი. გძელიშვილი—12—1 საათ.—ყელისა, ყურისა და ცხვირის სატკივრისა.

გ. ა. თარხანოვი—1—1½ საათ.—შინაგანის და ბავშვებისა.

ა. პ. კარაპეტიანცი. 1—1½ საათ. შინაგან და ბავშვების ავადმყოფობისა—სამშაბათობით, ხუთშაბათობით და შაბათობით.

ექიმი ქალი **ა. ე. შჩერბინინა**—1½—2 საათ.—ქალისა და საბებიო ავადმყოფობისა.

საღამოობით:

პ. ა. არდაზიანი.—აწარმოებს მიკრო-ქიმიურ და ტერიოსკოპიულს გამოკვლევას, 5—7 საათ.

ს. ტ. არვანიტაკი. 11—1 ს.—უკეთებს მასსაჟს (მსურველთ სახლში) და აუცრის ყვავილს, გამართავს საექიმო გიმნასტიკას, ექიმის დანიშვნით.

რჩევა-დარიგებისა და რეცეპტების დაწერის ფასი—ათი შაური, ღარიბთათვის უფასოდ; ფასი კონსილიუმისა და ოპერაციებისათვის — მორიგებით.

დირექტორი სამკურნალოსი, დოქტორი **კ. გძელიშვილი.**

Первая частная лѣчебница д-ра Навасардіана.
Тифлисъ, противъ памятн. Воронцову. წლ.

ტფილისის ექიმები.

კბილის ექიმი

ივანე პ. ახალშენიშვილი

გადავიდა: ნიკოლოოზისა (№ 32) და ხიდის ქ. №) 21) კუთხეში, ავჭალის ქ. დასაწყისში, სახლი ლაზარაშვილისა. ავადმყოფებს იღებს 9—2 და საღამოს 5—7. კვირა-უქმით 10—1-მდის.

კბილის ექიმი ნ. ტყეშელაშვილი იღებს ავადმყოფებს 9 საათიდან საღამოს 5 საათ., ოლგას ქუჩა, № 31.

ალექსი-მესხიშვილი, სარდიონ სარდიონის-ძე. იღებს სადოსტაქრო ავადმყოფებსა და საშარდე-სქესებრივ ორგანოებით დასნეულებულთ ყოველ-დღე, ნაშუადღევს 5 საათიდან 6-მდე. ოლგას ქუჩა, № 15.

გძელიშვილი კონსტანტინე—ელისაბედის ქუჩა, სახლი № 13.

ვ. ს. მუსხელიშვილი—კიროჩნისა და დიდის მთავრის ქუჩების კუთხე, სახლი სვანიშვილისა, № 11. მიიღებს თვალით ავადმყოფებს: დილით 12—2 ს., საღამოთი 6—7 საათ., გარდა სამშაბათისა.

ვაწაძე სპირიდონ—პეტერბურგის ქუჩა, საკუთარი სახლი.

დიასამიძე ალექსანდრე—ლორის-მელიქოვისა და ბარონის ქუჩის კუთხე, ფოსტის პირდაპირ, მესხიშვილის სახლი, № 18 —იღებს ავადმყოფებს დილით—9—11და საღამოთი 6—8-საათამდე.

გაბაშვილი გრიგოლ—კოჩუბეის ქუჩა, № 19.

ბესარიონ პაპოვი—ყელ-ყურისა და ცხვირით ავადმყოფობის ექიმი—1—2 საათ. და 5—8 საათ. მიხეილის ქუჩა, ფორერის სახლი № 157.

საჭირო და ყოველთვის სახმარებელი

უცხო სიტყვათა ლექსიკონი,

შედგ. ი. იმედაშვილის-მიერ. ფ. უყდოთ 1 მ. ყდით 1—50.
Тифл., книжн. торг. Іос. Зах. Имедашвили.

მუშათა საკითხი და პოლიტიკა.

—

16 მაისს იწყებს მუშაობას კოკოვცევის კომისია მუშათა საკითხის გამოსარკვევად.

ამ კომისიის შედგენაც იმავე მიზეზებით არის გამოწვეული, რა მიზეზმაც შიდლოვსკის უშედეგო და უნაყოფო კომისია გამოიწვია: მუშათა გაფიცვებით, რომელიც, აგერ ოთხი თვეა, მთელს რუსეთს მოედო და ხან ძლიერდება, ხანაც სუსტდება.

ის ლეგენდა, ვითომ შრომა და კაპიტალი მეგობრები იყვნენ, ის ლეგენდა, რომელსაც ათასნაირ ხერხით აცხობდნენ და ავრცელებდნენ პლევე და ვიტტე, ბოლივით გაჰქრა, გაიფანტა და ჩვენი ყოვლად შემძლე ბიუროკრატიაც იძულებული გახდა აღეარებინა, რომ რუსეთშიაც არსებობს მუშათა საკითხი, რომელიც უფრო სერიოზული და გამწვავებულია, ვიდრე ევროპაში.

შეშინებული და დამფრთხალი ბიუროკრატია ცდილობს ეს საქმე საჩქაროდ გაათავოს, გადააფუჩეჩოს. მერე რით? კომისიებით, მასალების მოგროვებით, პროექტებითა და სხვადასხვა ბიუროკრატიულ ხრიკებით.

ჩვენ დარწმუნებულნი ვართ, რომ ფინანსთა სამინისტროსა და შინაგან საქმეთა სამინისტროების კაბინეტებში შედგენილი კანონპროექტები ერთმანეთს დაუმეგობრდება და ამ ახლო ხანს კანონადაც იქცევა, მაგრამ განა ეს მუშათა საკითხს გადასწყვეტს და მუშათა აუტანელ მდგომარეობას გააუმჯობესებს? დარწმუნებული ვართ, რომ არა!

რუსეთში კანონის დაწერა და გამოცემა ადვილია, რაიც იმით მტკიცდება, რომ რუსეთში აუარებელი კანონია გამოცემული, ეხლაც გამოდის და გამოიცემა კიდევაც; მაგრამ საქმეც იმაშია, რომ ამ კანონების უმეტესი ნაწილი მკვდარი, უსულო სიტყვაა, ბიუროკრატიის მოგონება და თხზულებაა. საქმე კანონის შედგენა კი არ არის, საქმე მისი განხორციელება და ცხოვრებასთან დაკავშირებაა.

კოკოვცევის კომისიას შეუძლიან აუარებელი კანონი დასწეროს შესახებ სამუშაო დღის სიმცირე-სიდიდისა, გაფიცვისთვის სისხლის სამართლით დასჯის გაუქმებისა და მუშათა კავშირებისა და კრებების ნებართვისა. კეთილი და პატიოსანი! მაგრამ ვინ მოიხმარს ამ კანონებს ცხოვრებაში, ვინ გაუწევს კონტროლს ამ კანონებს? დასავლეთ ევროპასა, ამერიკასა და იაპონიაშიაც კანონის ასრულებას კონტროლს უწევს საზოგადოებრივი აზრი, პარლამენტი და დამოუკიდებელი პრესსა, რუსეთში კი ამ კონტროლს ადმინისტრაციასა და საფაბრიკო ინსპექციას მიანდობენ.

საფაბრიკო ინსპექციას მხოლოდ მაშინ შეუძლიან სარგებლობის მოტანა, როცა მას ადმინისტრაციის უღელი არ აწევს კისერზე და საზოგადოების კონტროლს ემორჩილება.

ჩვენი საფაბრიკო ინსპექცია კი იგივე პოლიტიკური დაწესებულებაა, საიდუმლო პოლიციის განყოფილებაა.

მერე რით არის უზრუნველყოფილი საზოგადოება, რომ მომავალში საფაბრიკო ინსპექცია სანეიტრალო ნიადაგზე დადგება, შრომის ექსპლუატაციას უდარაჯებს, სუსტს არ დააჩაგვრინებს და არ გახდება გუბერნატორისა და ჟანდარმის აღმასრულებელ იარაღად? ვინ დაგვარწმუნებს, რომ ეს ასე არ იქნება? ვერავინ ვერ დაგვარწმუნებს, ვერავინაც ვერ უზრუნველჰყოფს ამას და არც შეიძლება უზრუნველგვყოს ვინმემ იქ, სადაც არაფერიც არ არის უზრუნველყოფილი.

რაც შეეხება ადმინისტრაციის ზრუნვას მუშათა კეთილ-დღეობის შესახებ, ამაზე ხომ ლაპარაკიც არა ჰღირს. ამ ერთის თვის წინად არიყო, რომ გზათა მინისტრმა ფოთის მუშები საქმის განურჩევლად ციხეში დაამწყვდევინა!

ვერც პრესსაზე ვიტყვით რასმე იმ დრომდის, სანამ არსებობს ცენზურა, პრესსის შესახები სამართველო და მისი უფლება—აკრძალოს ბეჭდვა იმ წერილებისა და იმ საგნის შესახებ, რომელიც მას არ მოსწონს.

საზოგადოებრივ აზრს ჯერ-ჯერობით არა აქვს თავის პროტესტის გამოსათქმელად საჭირო იარაღი.

შეიძლება ბიუროკრატიამ გაბედოს და მუშებს პროფესიონალურ კავშირების ნებაც მისცეს.

კეთილი, მაგრამ განა მიაღწევს რასმე ასეთი კავშირი ეკონომიურ ბრძოლით მაშინ, როცა ყოველი მისი წევრი პოლიტიკურად შებოჭვილია? ამაზე დასავლეთმა არა ერთის და ორის მაგალითით მოგვცა პასუხი.

კავშირს შეუძლიან თავის ინტერესების დაცვა მხოლოდ გაფიცვით და ამისთვის საჭირო თანხის შედგენით. მერე რამდენ ხანს უნდა გასძლოს ამ კავშირმა? მეორე და მესამე გაფიცვის შემდეგ მთავრობა უექველად მოსპობს მას.

თუ არსებულმა რეჟიმმა თვითონვე არ უარჰყო თავის თავი, შეუძლებელია, რომ მუშათა ორგანიზაციამ თავისუფლად იბრძოლოს კაპიტალთან. ვთქვათ, მუშებმა ამგვარი თავისუფლებაც მიიღეს. კეთილი, მაგრამ დასავლეთის მაგალითები გვიმტკიცებს, რომ ამგვარ ორგანიზაციას შეუძლიან ბრძოლა მხოლოდ იმ დრომდე, სანამ სახელმწიფოში უზარ-მაზარი სამრეწველო დაწესებულებანი არ არსებობს.

ინგლისის ძლიერი ტრედ-უნიონები დიდხანს იმაგრებდნენ თავსა და პოლიტიკაში არ ერეოდნენ, მაგრამ, ხანგრძლივ ბრძოლის შემდეგ, დარწმუნდნენ, რომ „მათთვისაც საჭიროა პოლიტიკური ბრძოლა და პოლიტიკურ პარტიების შედგენა“. გერმანიის პროფესიონალური კავშირებიც ამ გზას დაადგნენ. ამერიკაში შედგენილმა უზარმაზარმა სინდიკატებმა მუშები აიძულეს პოლიტიკურ ბრძოლის ველზე გამოსულიყვნენ, ისინიც გამოვიდნენ და ბოლო დროს სოციალისტებმა 600 ათასი ხმა მოიპოვეს. ამრიგად, ცხადია, რომ მუშას მარტოოდენ ეკონომიურ იარაღით კაპიტალთან ბრძოლა არ შეუძლიან.

ეჭვს გარეშეა, რომ არა თუ ეხლა, არამედ მომავალშიაც, როცა რუსეთში თავისუფლება დამყარდება, ბატონობას ისევ შეძლებული კლასი ჩაიგდებს ხელში და მუშასაც მაშინ მოუნდება და ხანგრძლივი და ძნელი ბრძოლა ბურჟუაზიასთან. ამ მხრივ მუშამ თავის თავი არ უნდა მოატყუოს და ტყუილ ოცნებას არ უნდა მიეცეს: ხალხი ყველგან ერთი და იგივეა, ერთნაირია.

ჩვენშიაც, ისე, როგორც ევროპაში, თავის ინტერესების დასაცველად, ეკონომიურ ბრძოლაში გასამკლავებლად მუშები პოლიტიკურ ბრძოლის გზას უნდა დაადგნენ და, პროფესიონალურ კავშირების შედგენის გარდა, უნდა შეადგინონ მუშათა ლეგალური პარტია, რომელიც პოლიტიკურ აგიტაციას თავისუფლად მოახდენს. ცხადია, რომ ამ უფლებას მუშებიც მხოლოდ მაშინ მიიღებენ, როცა ეს უფლება რუსეთის ყველა მოქალაქეს ექნება.

შეძლებული კლასი სტყუის, როცა ყველაფერს მხოლოდ პოლიტიკას აბრალებს და მუშებს არაფერს უთმობს. გაფიცვები მარტო პოლიტიკურმა პირობებმა კი არ გამოიწვია, არამედ ეკონომიურმა დამონავებამაც.

მუშებსაც, როგორც ყველას, არა აქვთ უფლება შეკრებისა, ლაპარაკისა; ისინი უზრუნველყოფილნი არ არიან ადმინისტრაციის თვითნებობისა, საპატიმროებისა და გადასახლებისაგან; შეძლება არა აქვთ კაპიტალს თავისუფლად ებრძოლონ და მონაწილეობა მიიღონ იმ კანონების გამოცემაში მაინც, რომელიც პირადად მხოლოდ მათ შეეხებათ. ყველა ეს მიზეზები მუშებს აიძულებდა და აიძულებს, პოლიტიკურ ბრძოლას დაადგნენ და ამისათვის შესაფერი აგიტაცია გასწიონ. თანამედროვე წარმოება ისეთია, რომ ეკონომიური და პოლიტიკური ბრძოლა მჭიდროდ არის შეკავშირებული და ეკონომიკის განშორება პოლიტიკისაგან შეუძლებელია.

დასასრულ, გადაჭრით უნდა ვაღიაროთ, რომ იმ დრომდე, სანამ რუსეთის ყველა მოქალაქეს ნება არ ექნება ქვეყნის საქმის გადაწყვეტაში მონაწილეობა მიიღოს, სანამ მუშებს უფლება არ ექნებათ მუშათა პოლიტიკური პარტია შეადგინონ და პოლიტიკურ ბრძოლაში ჩაერიონ, მანამდის ვერავითარი ბიუროკრატიული კანონი ერთის ჰწკარითაც ვერ გააუმჯობესებს მუშათა ყოფა-ცხოვრებას.

(„ნაშა ჟიზნ“).

საარჩევნო უფლება *).

—

გვესმის, ხალხის მიერ არჩეულმა პირებმა უნდა განაგონ სახელმწიფოს საქმეებიო, მაგრამ არ იცის ყველამ, როგორ უნდა ამოირჩიოს ხალხმა თავისი წარმომადგენელი. ამ კითხვაზე პასუხს გვაძლევს სხვა სახელმწიფოებში შემოღებული საარჩევნო უფლების შესახები სხვადასხვა კანონი. ის წესწყობილება, რომელიც ამჟამად რუსეთისათვის ახალი ხილია, უკვე, დიდი ხანია, დამყარდა ევროპაში, ამერიკასა, ავსტრალიასა, აფრიკასა (სამხრეთი ნაწილი) და აზიაშიც—განათლებულ იაპონიაში.

ყველგან, სადაც საარჩევნო უფლება აქვს მინიჭებული ხალხს, ცდილობენ ეს უფლება მისცენ ყველას, ცდილობენ გააადვილონ ამ უფლებით სარგებლობა სახელმწიფოში. ამნაირად, ბოლოს მოითხოვეს, რომ ამ უფლებით სარგებლობიდან არავინ იყოს გამოკლებული.

სიტყვა „საყოველთაო“ იმას კი არ ნიშნავს, ვითომც ყველას უკლებლად ჰქონდეს საარჩევნო უფლება,—არის ისეთი პირები, რომელთაც საარჩევნო უფლება მაინც არ უნდა ჰქონდეთ, მაგ., მცირე-წლოვანნი, სულით ავადმყოფნი და სამხედრო სამსახურში მყოფი პირები, რომელთაც არა აქვთ საარჩევნო უფლება იმიტომ, რომ შეუძლიანთ იხმარონ იარაღი იმ წარმომადგენელთა წინააღმდეგ, ვინც მათ კანდიდატებს არ მიემხრობა.

საარჩევნო უფლება არა აქვთ აგრეთვე კანონით დასჯილებს და ზოგან ქალებსაც.

ქალი გამოკლებულია ხალხის წარმომადგენელთა არჩევაში, იმ ორის შეხედულებისა გამო, რომელიც საზოგადოებაშია გამეფებული. ზოგი ამბობს, ქალი სამუდამოდ მონად უნდა დარჩეს და მხოლოდ ოჯახს მოუაროსო, ანუ, უკეთ რომ ვსთქვათ, ისევ ძველებურად კარ-ჩაკეტილში უნდა იცხოვროსო. ზოგი კიდევ ამტკიცებს, რომ ქალი გონებრივად ვერ არის ისე განვითარებული, როგორც მამა-კაცი, მაგრამ ავიწყდებათ, რომ საუკეთესო სკოლა—თანასწორობაა და არა განცალკევება, გარიყულად დარჩენა. ქალთა დღევანდელი მოძრაობა, ნამდვილია, შესაფერს ნაყოფსაც მოიტანს, იგი გაათანასწორებს დედაკაცსა და მამა-კაცს, მიანიჭებს იმავე ადამიანურ უფლებებს, რომელიც ახლა აქვს მხოლოდ მამაკაცს, და ამით ცხოვრებაში გაბატონებულ ერთ დიდ შეცდომას გაასწორებს. ზოგიერთ დაწინაურებულ ქვეყანაში ქალებს უკვე აქვთ თანასწორობა მოპოვებული. მაგ., ავსტრალიის ზოგიერთ შტატში ქალები არჩევნებშიაც მონაწილეობას იღებენ და თვითონაც შეიძლება იყვნენ არჩეულნი წარმომადგენლებად.

ზემოდ ჩამოთვლილი პირები არ იღებენ მონაწილეობას წარმომადგენლთა არჩევნებში იქ, სადაც საყოველთაო საარჩევნო უფლება არსებობს. ამას გარდა, ზოგიერთ სახელმწიფოში კიდევ სხვანაირად სცდილობენ საყოველთაო უფლების შეკვეცას. მაგალ., საარჩევნო უფლების მისაღებად ითხოვენ, რომ ადამიანი განათლებული ან რამე ქონების პატრონი იყოსო. ინგლისში საარჩევნო უფლება იმას აქვს, ვინც წელიწადში ას მანეთზე არა ნაკლებ სახლის ქირას იხდის. ჰოლანდიაში ითხოვენ, რომ საარჩევნო უფლება ჰქონდეს მხოლოდ იმას, ვინც იხდის რამე გადასახადს უძრავ მამულზე ან კაპიტალზე... იტალიაში საარჩევნო უფლებას მოკლებულნი არიან ისინი, ვისაც არავითარი განათლება არ მიუღია; ბელგიაში განათლების მიღებაზე პრემიებია დანიშნული: იმ პირთ, რომელთაც უმაღლესი განათლება აქვთ მიღებული, საკუთარ ერთის ხმის გარდა, კიდევ სხვა ორი ხმაც ეძლევა ზედ-მეტად. მაგრამ ამნაირი შევიწროვება უმრავლესობისთვის სასარგებლო არ არის. ხალხის უმეტესობა გაუნათლებელი და ღარიბია! და ნუ თუ ამიტომ პირზე ხელი უნდა ავაფაროთ და არ მივცეთ ნება, თავის საჭიროებაზე ილაპარაკონ და მათ დასაკმაყოფილებლად გამონახონ საშუალებანი?!

თვით საყოველთაო საარჩევნო უფლება პრაქტიკულად ორნაირია: დასავლეთ ევროპის სახელმწიფოებში უმეტეს ნაწილად ასე ხდება არჩევნები: დანიშნულ დროს თავს იყრის ყველა მოქალაქე, რომელსაც საარჩევნო უფლება აქვს, და ირჩევს თავის წრიდან ზოგიერთს წარმომადგენლებად. ეს წარმომადგენლები საერო კრების წევრებად ითვლებიან. ასეთ არჩევნებს ჰქვიან პირდაპირი. ზოგიერთ სახელმწიფოში კი მოქალაქენი ამოირჩევენ რამდენსამე პირს, რომელთაც შემდეგ თავისიდან უნდა აირჩიონ დეპუტატი, ასე რომ ამომრჩეველთა და წარმომადგენელთა ერებს შუა მესამე პირია. ამიტომ ამ არჩევნებს ეძახიან არაპირდაპირს ანუ ორკეცს. არჩევნების ამნაირ წესით სარგებლობენ ზოგიერთები: 10,000 ამომრჩევს ძნელად მოიყიდის თავის სასარგებლოდ ადამიანი, მაგრამ, როდესაც ეს 10,000 კაცი თავისიდან 10 კაცს აირჩევს, რომელთაც შემდეგ დეპუტატი უნდა ამოირჩიონ, მაშინ ამ ათი კაცის გადმობირება ძალიან ადვილია. ესეც რომ არ იყოს, თუ კაცი პეტრეს ირჩევს ამომრჩევლად, ეს იმას კი არ ნიშნავს, რომ იგი დაკმაყოფილდება, თუ პეტრემ შემდეგ დავითი აირჩია დეპუტატად!.. და თუ კაცი პეტრეს ირჩევს და თანაც ეუბნება, ესა და ეს კაცი აირჩიეო, მაშინ რაღა საჭიროა ორკეცი არჩევანი? განა თვითონ ვეღარ ამოირჩევდა დეპუტატს? რომელი საარჩევნო წესი უკეთესია, ამას დაგვანახვებს, მათი შედარება იქ, სადაც ორივე მოქმედობს ერთად. ეს უფრო ადვილია გერმანიაში გერმანია 22 პატარა სახელმწიფოსაგან შესდგება. თითო სახელმწიფო გზავნის თავის წარმომადგენელს საერთო კრებაში (რეიხსტაგში),—წარმომადგენელთა არჩევნები ამ შემთხვევაში პირდაპირია,—და პრუსსიის საკუთარ კრებაში კი (ლანტდაგში)—არჩევნები ორკეცია. ბერლინი ერთ და იმავე დროს იმპერიის დედაქალაქიცაა და პროვინციისაც (პრუსსიის), ამიტომ ამ ქალაქში ორი საერთო კრებაა: სრულიად გერმანიის რეიხსტაგი და პრუსსიის ლანდტაგი.

როგორც არჩევნების წესია ორგვარი, ისე ხმასაც ორგვარად ჰკრებენ: ფარულად და აშკარად. ამ სიტყვების ახსნა და განმარტება მეტად მიგვაჩნია, რადგანაც მათი მნიშვნელობა თავის თავად ცხადია. ვიტყვით მხოლოდ, თუ რას ამბობენ ამა თუ იმ სისტემის მომხრენი. აშკარა კენჭის ყრის მომხრენი ამტკიცებენ, რომ ამ საერთო საქმეში, როგორიც არჩევნებია, არავითარი „საიდუმლოება“ არ უნდა იყოს. ეს საიდუმლოება არა სასურველი რამეა და ამიტომ არჩევნებიც აშკარად უნდა სწარმოებდეს. მაგრამ ასეთი შეხედულება შემცდარია და უსაფუძვლოა: ამნაირ აშკარა არჩევნებს ძალ-მომრეობა მოჰყვება ხშირად, მაგალითად, არჩევანში ერთად თუ მოხვდა მოსამსახურე და მისი „ბატონი“, მოსამსახურეს, რასაკვირველია, ენდომება ისეთ პირის არჩევა, რომელიც მის ინტერესებს დაიცავს შემდეგში. მაგრამ იცის, რომ ამისთვის ადგილიდან დაითხოვს „ბატონი“. ამა ქვეყნისა ძლიერნი აშკარა არჩევნების დროს ყოველთვის გაიგებენ, თუ ვის ემხრობიან სუსტები და ამნაირად ასეთ კენჭის ყრას მოჰყვება: «როგორიც ბერი, ისეთი ერიც“—რომელ წარმომადგენელსაც აირჩევს „ბატონი“, იმას უნდა მიემხრონ დანარჩენებიც... ამნაირი კენჭის ყრა დიდხანს იყო გერმანიაში. რამდენჯერმე სცადეს იმისი მოსპობა. ამ მხრივ შესანიშნავია აწ განსვენებული დეპუტატი რიკკერტი. შესანიშნავის მხნეობით ცდილობდა რიკკერტი, რომ არჩევნების დროს ამომრჩეველთ კანონის ძალით ცალკე ოთახი ჰქონოდათ; აქ, ამ ოთახში, თითო ამომრჩეველს თვითონ უნდა დაეწერა სახელი და გვარი თავის-მიერ წამოყენებულ კანდიდატისა, ჩაედო კონვერტში და შემდეგ საარჩევნო ყუთში ჩაეგდო. ეს კანონ-პროექტი გერმანიაში 1904 წელს განხორციელდა და ამგვარად გერმანიაში შემოვიდა ფარული კენჭის ყრა. შემდეგ ეს წესი სხვა სახელმწიფოებშიაც გადაიტანეს...

საჭიროა, რომ არცერთ ამომრჩეველს არა ჰქონდეს განსაკუთრებული პრივილეგია. სამწუხაროდ, ეს ყველგან არ არის ასე. ავსტრიაში, მაგალითად, ამომრჩევლები 5 ნაწილად იყოფიან, თითო ნაწილს კურია ჰქვიან. პირველ კურიას ეკუთვნიან... შეძლებული მემამულეები;

მეორეს . . . . . ქალაქში მცხოვრებნი;
მესამეს . . . . ვაჭარნი;
მეოთხეს . . . სოფლის საზოგადოებანი
და მეხუთე კი . . . . . . საყოველთაოა.

პირველ ოთხ კურიის ამომრჩევლებად ითვლებიან ის პირნი, რომელნიც იხდიან პირდაპირ გადასახადს არა ნაკლებ სამის მანათისა წელიწადში; მეხუთე კურიის ამომრჩევლებად ითვლებიან სახელმწიფოს ყოველი მცხოვრებნი, ქონების მიუხედავად, სხვათა შორის, პირველ ოთხ კურიის ამომრჩეველნიც; ამიტომ მეხუთე კურიის ამომრჩეველთა რიცხვი 5.000,000 უდრის. ხუთმა მილიონმა ხალხმა უნდა აირჩიოს 72 წარმომადგენელი, ისე რომ, ყოველი 70,000 კაცი 1 დეპუტატს ირჩევს. ამავე დროს მესამე კურიაში მხოლოდ 600 ამომრჩეველი ითვლება, და ამ ექვსასმა კაცმა უნდა აირჩიოს 21 წარმომადგენელი, ისე რომ, მესამე კურიაში 1 დეპუტატს 26 კაცი ირჩევს... აქ ნათლად ვხედავთ. რომ **პრივილეგიებით აღჭურვილის მესამე კურიის 26 ხმა მეხუთე უპრივილეგიო კურიის 70,000 ხმას უდრის, და მესამე კურიის 1 ხმა—მეხუთე კურიის 2,700 ხმას.**

თითქმის ასეთივე მდგომარეობაა ინგლისში. იქ საარჩევნო ხმა ეძლევა ყოველ უძრავ ქონების პატრონს. ხშირად ერთ კაცს 50 ადგილას აქვს ადგილ-მამული და ამიტომ მას 50 ხმა ეძლევა.

ყველასათვის ცხადია, რომ ამნაირი წესი უვარგისია, ამიტომ ყველა, ვინც საზოგადო საარჩევნო უფლების მომხრეა, უნდა ეცადოს ამ საქმეშიც თანასწორობას—„თითო კაცს თითო ხმა!“ თავი მოვუყაროთ ზემოდ ჩამოთვლილს, თუ გვი-

---

*) ა. ფ. მუსკატბლიდტის წერილიდან.

ნდა, რომ საარჩევნო უფლება ნამდვილი და არა სასაცილო რამ შეიქმნეს. იგი უნდა იყოს:

საყოველთაო, რომ იმით სარგებლობდეს, რაც შეიძლება, მცხოვრებთა უმეტესი ნაწილი

პირდაპირი—რათა ხალხმა პირდაპირ დეპუტატები აირჩიოს საერო კრებაზე გასაგზავნად,

ფარული—რომ არავითარი გავლენა არ იყოს ამორჩევლებზე, და

თანასწორი—რათა ამომრჩეველთა მოთხოვნილებანი თანასწორად იყოს წარმოდგენილი.

მაგრამ ესეც არ კმარა: მუშა თავის სამუშაოს ჩასჩერებია, საბრალო გლეხი გუთანზე წელმოხრილი მუშაობს; საქმეს რომ მოაშოროთ ესენი, სიმშილით დაიხოცებიან, ვინაიდან მხოლოდ თავიანთ შრომით ცხოვრობენ. ამიტომ აუცილებლად საჭიროა ხალხის წარმომადგენელთ ჯამაგირი დაენიშნოთ, თორემ საერო კრებაზე მხოლოდ შეძლებულები დაესწრებიან. ამიტომ თითქმის ყველგან, გერმანიის გარდა, წარმომადგენელთათვის ჯამაგირია შემოღებული; ხალხის წარმომადგენელს ან წლიურად ეძლევა ჯამაგირი,—სანამ ვადა გაუთავდებოდეს (შვეციაში, მაგ., დეპუტატს წელიწადში 625 მან. ეძლევა), ან იმ დროის განმავლობაში, სანამ კრებაში მუშაობს (მაგალ., საბერძნეთში დეპუტატს მხოლოდ მაშინ ეძლევა ჯამაგირი, როცა კრებაში მუშაობს).

სასურველია, რომ არჩევნები უქმე დღეებში ხდებოდეს, ვინაიდან მაშინ მშრომელ ხალხს უფრო შეეძლება ისარგებლოს საარჩენო უფლებით.

მნიშვნელობა აქვს იმასაც, იქნება თუ არა შემოღებული ხელ-მეორედ კენჭის ყრა, და სხვა მრავალ ტეხნიკურ წვრილმანებს, რომელიც საარჩევნო უფლების შემოღების დროს უნდა გამოირკვიოს ადამიანმა... ამასთანავე, არ უნდა დავივიწყოთ ის საფუძველიც, ურომლისოდაც შეუძლებელია საზოგადოების ცხოვრება საერთოდ და საარჩევნო უფლება—კერძოდ. საარჩევნო უფლება ცხოვრებასთან შეფარდებული უნდა იყოს, მას ცხოვრებასთან ერთად განვითარება უნდა შეეძლოს უთუოდ...

ყველაფერი იცვლება დედამიწაზე... ზოგან ეს ცვლილება უცებია, ზოგან კიდევ თანდათანი და მძიმე. ცხოვრება იცვლება და ამ ცხოვრების შეჩერება არ შეიძლება ისე, როგორც ძლიერის, მრისხანე მდინარის შეჩერება არ შეუძლია ნაპირებს. მდინარეს იმიტომ კი არა აქვს ასეთი თუ ისეთი მიმდინარეობა, რომ მისი კალაპოტია ასეთი... არა! თვით კალაპოტია ასეთი იმიტომ, რომ მდინარე ამ მიმართულებას ადგია. მდინარე თვითონ იკეთებს კალაპოტს. ცხოვრებაც ასეა: კანონი უნდა იცვლებოდეს, კანონმა დროს მიხედვით უნდა იცვალოს სახე, ე. ი. უნდა ცხოვრობდეს თვითონ. დღეს ნათლად ვხედავთ, თუ რა შედეგი მოჰყვება ცხოვრების მოთხოვნილებათა უყურადღებოდ დაგდებას. აგერ, ოდესღაც დიდებული, მაგრამ ახლა სუსტი ესპანია და ახლა უზარმაზარი, ოდესღაც პაწია ინგლისი. პირველში ცხოვრება შეჩერებული იყო და მეორეში თავისუფალ მიმდინარეობას ადგია ყოველთვის. გავიხსენოთ გერმანია: არჩევნები იქ ახლა 1869 წლის კანონის ძალით ხდება. ეს კანონი ახლაც უცვლელია და ამბობს... „თითო 100,000 კაცზე ამორჩეულ უნდა იქმნას ერთი დეპუტატი“. 1869 წელს გერმანიაში 39.700,000 მცხოვრები იყო, ასე რომ, დეპუტატთა რიცხვი 397 კაცი იყო. 1903 წ. მცხოვრებთა რიცხვი 58.000,000 ავიდა; დეპუტატთა რიცხვიც 580 უნდა ყოფილიყო. მაგრამ, როგორც ანგარიშიდანა სჩანს, დღესაც იმდენივე დეპუტატია, რამდენიც 1869 წელს ყოფილა. რატომ? იმიტომ, რომ ამ საარჩევნო კანონში ესეთი შენიშვნაც არის: «დეპუტატთა რიცხვის მომატება მცხოვრებთა გამრავლების გამო უნდა ხდებოდეს ყოველთვის განსაკუთრებულ კანონის გამოცემითო“, რომელიც, სამწუხაროდ, დღესაც არაა გამოცემული. გერმანიაში ყურადღებას არ აქცევენ ხალხის გამრავლებას და ამ გამრავლების ხასიათს: ქარხნების გაშენებისა გამო იმატა მუშა ხალხმა და ამიტომ მათ ხმაც მეტი უნდა ჰქონოდათ ახლა. რადგანაც მუშათა დასს 1903 წელს 3.000,000 ხმა ჰქონდა (თითქმის მესამედია), ამიტომ საერო კრებაში, რიხსტაგში, მათ 196 დეპუტატი უნდა გაეგზავნათ (397-ში); ნამდვილად კი 1903 წელს მუშებს მხოლოდ 81 წარმომადგენელი ჰყოლიათ. რაც ამათ დააკლდათ, სხვა დასებს ერგო და ამიტომ ცხადია, რომ გერმანიაში დღესაც არ არის თანასწორი საარჩევნო უფლება შემოღებული.

პ. დ.

დეპეშა

(რუსეთისა და პეტერბურგის დეპეშათა სააგენტოებისაგან)

11 მაისი.

ყაზანი, 11 მაისი. პოლიციამ შეიპყრო სამი უცნობი უმაწვილი კაცი, რომლებიც ფულებს უზომოდ ჰფლანგავდნენ. ვინაობას არ ამბობენ, გაჩხრეკის დროს უპოვნეს 11 სერია. შეპყრობის შემდეგ ვასილსურკის ისპრავნიკისგან მოვიდა ცნობა, რომ ვასილსურკში გაუქურდავთ ვაჭარი ლოგინოვი და 11,500 მან. წაუღიათ.

შანხაი, 10 მაისი. ინგლისში შერნახული ყინვისაგან ყველგან დაზიანდა. გარეშე საქმეთა სამინისტრომ გამოაქვეყნა ტოკიოში ინგლისის კონსულის მოხსენება 1904 წლის იაპონიის ვაჭრობის შესახებ. ომის პირველი წელიწადი ვაჭრობის შესახებ კარგი იყო უპირველეს ყოვლისა ამიტომ, რომ 1904 წელს მოსავალი, მომეტებულად ბრინჯისა და აბრეშუმის პარკისა, წინანდელ წლებისასა სჯობდა. საზოგადოდ, იაპონიის საზღვარ-გარედ ვაჭრობამ 1902 წელს გადაამეტა. საქონლის შემოტანამ იმატა 17%, გატანამ—10%. შემოტანილ საქონელში პირველი ადგილი ეჭირა ბრინჯს და მატყლის საზნებს. შაქარი შემოვიდა 240,000 გირვანქა სტერლინგით მეტი, ვიდრე 1903 წელს. შაქრის შემოტანამ გერმანიიდან და ავსტრიიდან იკლო, სამაგიეროდ რუსეთიდან იმატა.

პარიზი, 11 მაისი. ჩინეთის მთავრობას ძალიან აწუხებს ის გარემოება, რომ მრავალი იაპონელი ბერი-ჯაშუში აქეზებს ხალხს ხელმწიფის საგვარეულოს წინააღმდეგ. განკარგულება მოახდინეს, აღარ მისცენ ამ ბერებს პასპორტები იმ მიზეზით, რომ ხელშეკრულებში იაპონურ პროპაგანდის შესახებ არაფერი არ არის მოხსენებული.—იაპონიამ აცნობა იტალიას, მილანში 1906 წლის გამოფენაზე მონაწილეობას მივიღებთო.—საფრანგეთსა, ინგლისსა და იტალიის შორის ახალი ხელშეკრულობა აბაშეთის შესახებ დიდს შთაბეჭდილებას ახდენს. პირობის შინაარსს შეატყობინებენ გერმანიასა და რუსეთს.

ბერლინი, 11 მაისი. ჩრდილოეთ-გერმანული „ლლოიდი“ პირობით შეეკრა რუსეთის მთავრობას, რომლის ძალითაც რუსის დაჭრილი აფიცრები და ჯარის-კაცნი აღმოსავლეთ აზიიდან ოდესაში უნდა გადაიყვანოს ხოლმე.

ჩიკაგო, 11 მაისი. გაფიცულებთან მოლაპარაკება შესწყვიტეს. ჯარებმა ბრძანება მიიღეს, დაუყოვნებლივ გაემგზავრნენ არეულობის ჩასაქრობად.

ბაქო, 11 მაისი. 3 საათსა და 10 წუთზე ქალაქის შუაგულში, ველიკოკნიაჟესკის ქუჩაზე, ეტლით მიმავალ ბაქოს გუბერნატორს, თავ. ნაკაშიძეს, ყუმბარა ესროლეს. გუბერნატორი იქვე მოკვდა. მოკლულ იქმნენ აგრეთვე მისი თანამხლებელი ესაული, კურიერი და ერთი ვაჭარი. მეეტლე დაჭრილია. ეტლს ერთი მხარე დამსხვრეული აქვს, დაჭრილია ერთი ცხენიც.

ზადონსკი, 11 მაისი. გუშინ მონასტრის ერთი კედელი გადმოიქცა და ოთხი მუშა ქვეშ მოიტანა.

სედლეცი, 11 მაისი. გუშინ, შუაღამისას, ვიღაცეებმა კლუბის აივანს ყუმბარა ესროლეს. პოლიცმეისტერი შედევრი მძიმედაა დაჭრილი. სამი მსახური ოდნავ დაშავდა, აივანი დანგრეულია; ახლომახლო შენობების შუშები ჩამსხვრეულია.

კრემენჩუგი, 11 მაისი. სამხედრო უწყების მიერ შეკვეთილი ორი მოძრავი და ოთხი სათადარიგო სავადმყოფო დღეს შორეულ აღმოსავლეთში გაგზავნეს.

ეკატერინოსლავი, 11 მაისი. დილის 10 საათზე სევასტოპოლის რკინის გზაზე, ლოზოვოისა და პანუტინას სადგურებს შუა, საქონლის მატარებელი ლიანდაგიდან გადავარდა და დაიმსხვრა. დამსხვრეულია 20 ვაგონი, მოკლულია ცხრა, დაჭრილია რვა მოსამსახურე, რომლებიც ნავაჭრით სახლებში ბრუნდებოდნენ.

პეტერბურგი, 11 მაისი. საერო განათლების მინისტრის თავმჯდომარეობით გაიხსნა იმ კომისიის კრებები, რომელმაც უნდა შეიმუშაოს საკითხი უცხო ტომთა სკოლების დაარსების შესახებ.

ლონდონი, 11 მაისი. „ტაიმს“-მა დაბეჭდა ინგლის-ავღანისტანის ხელშეკრულობის შინაარსი. ემირი თანხმაა მიიღოს მამის მიერ ნაკისრი ვალდებულებანი. ამან პირველმა მიიღო წოდება უდიდებულესობისა და ავღანისტანის სახელმწიფოს დამოუკიდებელი მეფის სახელი. „ტაიმს“-ი ამბობს, არა ღირდა ამის გულისთვის ავღანისტანში სპეციალური საელჩო 4 თვეს გაგვეჩერებინაო. ინდოეთის მთავრობას სწადდა ემირთან ზოგიერთ მუხლებში შეთანხმებულიყო, მაგრამ, ალბად, ვერაფერი გააწყო.

ბახმუტი, 11 მაისი. სტურინის ქარხნის 1000 მუშა გაიფიცა.

ვოლოგდა, 11 მაისი. დანიშნულია საგუბერნიო საერობო კრება.

ლიონი, 11 მაისი. პოლიციის მოხელეთა გაფიცვა გათავდა.

ხარკოვი. 11 მაისი. გამოირკვა, რომ ლოზოვესთან რვა კაცია მოკლული და რვაც დაჭრილი.

მელეკესი, 11 მაისი. მელეკესის ქარხანამ გაფიცულ ფეიქრებს თითო ნაჭერზე 9 კაპ. მოუმატა. მუშებმა საქმეს შეუდგნენ.

სოფია, 11 მაისი. ხელმწიფემ უწყალობა მინისტრ-პრეზიდენტ პეტროვს თეთრი არწივის ორდენი პირველის ხარისხისა, ფინანსთა მინისტრს—პარველ ხარისხის სტანისლავი, რადგან რუსეთ-ბოლგარიის სავაჭრო ხელშეკრულება კარგად მოაწყეს.

სტამბოლი, 11 მაისი. სერბიელებმა გადასწყვიტეს მოითხოვონ, რომ ოფიციალურად მიჩნეულ იქმნან სერბიელ ეროვნებად, როგორც მიჩნეულია კუცოვლახის ეროვნება. ამის გასარჩევად 13 მაისისათვის დანიშნული სინოდის სხდომა.

ბერლინი, 11 მაისი. სამოქალაქო პროცესთა რეფორმების განხილვის დროს დიდი კამათი გამოიწვია რეიხსტაგში სასამართლოს დამოუკიდებლობამ და ნაფიც მსაჯულთა კომპეტენციამ. შემარცხენენი ჰკიცხავენ პრუსიის იუსტიციის მინისტრს—მოსამართლეთა დამოუკიდებლობისათვის. მწერლობის დანაშაულობა პოლიტიკურ ხასიათისა ნაფიც მსაჯულთა სასამართლოს უნდა ექვემდებარებოდესო,—განაცხადა მსაჯულდეპუტატმა მიულერმა, რადგან ნაფიცი მსაჯულები პატიოსანს კრიტიკას დანაშაულობად არა სთვლიან და სამართალსაც მეტი ნდობა აქვსო. ორატორი თხოულობს, რათა ნაფიც მსაჯულებს დღიური სასყიდელი დაენიშნოთ, რომ მუშებსაც შეეძლოთ მსაჯულად ყოფნა. ოქსფორდის უნივერსიტეტმა აირჩია მწერალი ჰაუპტმანი ლიტერატურის საპატიო დოკტორად.

პეტერბურგი, 11 მაისი. ოფიციალური. უმაღლესი ბრძანება უმართებულეს სენატს 3 მაისს. 26 თებერვლის უმაღლეს ბრძანების განსამარტავად, რომელიც სენატს ჰქონდა ნაბოძები კავკასიის ნამესტნიკის უფლებათა შესავსებად ყველა სამოქალაქო დაწესებულებაში, ჩვენ საჭიროდ მივიჩნიეთ: პირველი—ჩვენს ნამესტნიკს კავკასიაში მივანიჭოთ ის უფლებანი და მანდობილებანი, რაც ბოძებული ჰქონდა მის წინა მოადგილეს კავკასიის კანონთა დებულების მეორე ტომის, გამოცემულის 1876 წ.—26 და 27 მუხლებით, ხოლო იმ ცვლილებით, რომ უკეთუ ნამესტნიკი შეუძლებლად ან მოუხერხებლად სცნობს მინისტრთა კომიტეტის განკარგულებას ან ცირკულიარის სისრულეში მოყვანას, მინისტრთა საბჭოს უნდა მოახსენოს. მეორე—უნდა დაიცვას ყველა არსებული კანონმდებლობა, განმარტება და წესი მოხელეთა დანიშვნა—დათხოვნისა, გადაყვან-გადმოყვანისა, ოტპუსკისა, პასუხის-მგებლობისა, ხარისხის მომატებისა, დაჯილდოვებისა, პენსიის დანიშვნისა და სხვა დახმარებისა. კავკასიაში მსახურ მოხელეთა შესახებ დებულებათ ის მოაკლდეთ, რომ ყველა უფლებანი, რაც ამ დებულებით მინისტრებს და მთავარ-მართებლებს ჰქონდათ მინიჭებული, სისრულეში ნამესტნიკის მიერ იქმნეს მოყვანილი. ეს წესი არ ეხება სახელმწიფო ქონებათა კონტროლისა და სახელმწიფო ბანკის მოხელეთ. მესამე—მიენიჭოს ნამესტნიკს უფლება დააარსოს დროებითი დაწესებულებანი მთავარ-მართებლის ხელქვეით მოხელეთაგან, სანამ ეს დაწესებულებანი უმაღლესად დაკანონებულ და დამტკიცებულ იქმნებიან. ხოლო არ შეამციროს რიცხვი არსებულ თანამდებობათა, მათი კლასები, დადგენილი ჯამაგირები. განაწილოს თავის მოსაზრებით ამ დაწესებულებათა შორის აწ გადადებული საერთო თანხა, გააწესრიგოს დამოკიდებულება ამ დაწესებულებათა შორის და შინაგანი წესიერება დაამყაროს.

ვერხნედნეპროვსკი, 11 მაისი. რკინის სამადნო ნოვოროსიის საზოგადოებისა დაიკეტა. მიზეზი მუშათა გაფიცვებია, რაც მოხდა იუზის ზავოდში.

კრემენჩუგი, 11 მაისი. ვაგონების დასამზადებელ სახელოსნოებში მუშათა გაფიცვა დაიწყო.

პრონსკი, 11 მაისი. ოთხი ტუსაღი საპატიმროდან გაიქცა, მაგრამ მალე დაიჭირეს.

რიაზანი, 11 მაისი. საგუბერნიო ერობის საგანგებო კრებამ ხმის უმეტესობით დაადგინა, სენატში გაასაჩივროს გუბერნატორის განკარგულება, რომლითაც აუკრძალა მათ იმ საკითხთა განხილვა, რაც 18 თებერვლის უმაღლეს რესკრიპტის ფარგალს არ გასცილებია, და ამით ხელი შეუშალა კრებას თავისი მოსაზრებანი წარედგინა მინისტრთა საბჭოში სახელმწიფო წეს წყობილების სასურველი გაუმჯობესობის შესახებ.

ვაშინგტონი, 11 მაისი. (რეიტერი). ჰფიქრობენ, რომ სახელმწიფო დეპარტამენტი პეტერბურგში გაასაჩივრებს საზღვაო სასამართლოს დადგენილებას, რომელიც ბამბას კონტრაბანდად აღიარებს.

ლონდონი, 11 მაისი. გაზეთები იუწყებიან ლაგორიდან, მანდში მიწის ძვრის შემდეგ აგებული სახელდახელო ქოხები მეხმა გაანადგურა და 23 კაცი იმსხვერპლაო.

ბაქო, 11 მაისი. როგორც ისმის, შაჰი აჯიქაბულიდან 25 მაისს მივა ბალაჯარაში და პირდაპირ გაემგზავრება, ბაქოში შეუბრუნებლად. ემზადებიან დიდებულად დახვდნენ.

რუსეთ-იაპონიის ომი

დეპეშები.

(რუსეთისა და პეტერბურგის სააგენტოებისაგან)

11 მაისი

ჰონკონგი, 10 მაისი. 8 მაისს ნავთ-სადგურთან შეამჩნიეს ერთი კრეისერი. რომელიც განათებული არ იყო.

პეტერბურგი. უქვეშევრდომილესი დეპეშა გენერალ ლინევიჩისა ჰმის იმპერატორობით უდიდებულესობის სახელზე, 10 მაისის თარიღით: „8 მაისს ერთს ჩვენს რაზმთაგანს, რომელიც სადგურ ჩანტაფუს უახლოვდებოდა, მტერმა საფრებიდან თოფის სროლა აუტეხა. ჩვენმა რაზმმა ჩასაფრებულებზე იერიში მიიტანა და განდევნა“.

საიგონი, 11 მაისი. სასტიკი ზომებია მიღებული, რომ ტერიტორიალურ წყლებში ნახშირი არავინ გადატვირთოს. გერმანიის კონსულის თხოვნით, სამხედრო გემ „რედუტაბლ“-ზე დაატუსაღეს მეზღვაურნი სანახშირე გემის „ძანცგიზელი“-სა, რომლებიც აჯანყდნენ და მოგზაურობაზე უარი განაცხადეს.

ტოკიო, 11 მაისი. ოფიციალურად იუწყებიან, 8 მაისს, შუადღის შემდეგ, რუსის ერთმა ბატალიონმა და 6 ესკადრონმა იერიში მიიტანა ჩინგიანგპუს ჩრდილოეთ სიმაღლეებზე, მაგრამ უკუგდებულ იქმნა. ერთმა ბატალიონმა და 3 ცხენოსანმა რაზმმა გირინტაოლიუს გზით ჩინჩენძუზე იერიში მიიტანა. ქვეითა ჯარის ერთმა რაზმმა სოფელს მიაღწია. იაპონელებმა ორთავე რაზმს უკან დაახევინეს. რუსის ცხენოსნები ლიაოხეს მარჯვენა ნაპირიდან უკან-უკან იხევენ. 9 მაისს, დილით, რუსის ჯარი ტალუნის სამხრეთით იდგა.

მოსკოვი, 11 მაისი. ოკუსა და ნოძუს ჯარიდან 43 ტყვე-იაპონელი გამოატარეს. სასანიტარო მატარებლით 57 დაჭრილი და ავადმყოფი ჯარის კაცი მოვიდა.

ტოკიო, 8 მაისი. რუსების ერთმა ბატალიონმა და ექვსმა ესკადრამ იერიში მიიტანა იაპონელებზე ჩინანბაის მახლობლად, მაგრამ უკან დაახევინეს. რუსების მეორე რაზმი, ერთის ბატალიონითა და ორ-სამ ესკადრონით, გირინ-დალუს

ფელეტონი

სახელმწიფო

ყველა ჩვენგანმა იცის, რომ დღეს ჩვენ რუსეთის სახელმწიფოს ქვეშევრდომნი ვართ. რას ნიშნავს ეს ქვეშევრდომობა? რას გვავალებს ჩვენ იგი?

ბევრ რამეს. ყოველ ჩვენს მოქმედებაში, რასაც კი საზოგადოებრივი ხასიათი აქვს, სახელმწიფო, ასე თუ ისე, ერევა,—თავის ნებაზე გვამუშავებს. მას ვაძლევთ გადასახადებს, ვაძლევთ ჯარის-კაცებს, რომელთა საშუალებით სახელმწიფო თავის ინტერესებს იცავს და თავის მისწრაფებათ ანხორციელებს. იგივე იცავს განსაზღვრულ განწყობილებას საზოგადოების სხვადასხვა კლასთა შორის; მისსავე ხელშია ეკლესია, რომელიც თავისის მოქმედებით ცდილობს განამტკიცოს ხალხში არსებული წყობილება, ჩააგონოს ხალხს მორჩილების საჭიროება და ამ მორჩილების აუცილებლობას ხსნის, როგორც ღვთაებრივის ძალის სურვილს; სახელმწიფოსვე აქვს თავისებურად მოწყობილი სკოლები, სადაც ახალი თაობა იწვრთნება სახელმწიფოს მიზნის შესაფერად; სახელმწიფო თვალ-ყურს ადევნებს მწერლობას, რომ არ გაეპაროს ისეთი რამ, რაც მის მისწრაფებათ ეწინააღმდეგება, არ დაითესოს მწერლობაში ისეთი აზრი, რომელიც მის არსებობას და ყოფაქცევას კრიტიკულის თვალით უყურებს. ერთის სიტყვით, ჩვენი დამოკიდებულება რუსეთის სახელმწიფოსაგან მეტად მრავალ-მხრივია, ყოველ ფეხის გადადგმაზე ვგრძნობთ მის ძალას და გავლენას.

ცხადია, ასეთმა დამოკიდებულებამ ჩვენ უნდა ჩაგვაფიქროს, უნებლიედ უნდა დავეკითხოთ თავის თავს: რა ძალაა ეს ძალა, რომელიც მოითხოვს ყოველს ჩვენ მოქმედების განსაზღვრას, რომელიც ცდილობს განსაზღვრულ კალაპოტში დაიჭიროს, როგორც ჩვენი ეკონომიური მოქმედება, ისე გონებრივი ცხოვრება.

ასეთივე კითხვა აღგვეძვრის მეორე გზითაც. დღეს იშვიათია ჩვენში ისეთი ადამიანი, რომ წერა-კითხვა არ იცოდეს და გაზეთს თვალ-ყურს არ ადევნებდეს. საკმარისია, გაზეთის ერთი ნომერი გადაათვალიეროს მკითხველმა, რათა დარწმუნდეს, რომ დედამიწაზე მრავალი სხვადასხვა სახელმწიფოები არის, რომელნიც სხვადასხვა წესზე არიან მოწყობილნი.

ერთი სახელმწიფო მონარქიაა, მეორე რესპუბლიკა; ერთ სახელმწიფოს განაგებს მხოლოდ მეფე, მეორეს—მეფე და ხალხი, მესამეს—მარტო ხალხი. ის არა-ერთხელ ამოიკითხავს: პარლამენტი, სენატი, რეიხსტაგი, პრეზიდენტი, მინისტრი, დეპუტატი... წარმოუდგენელია, რომ ცოტაოდნად გონიერი ადამიანი არ ჩაფიქრდეს და არ დაეკითხოს თავის თავს: როგორ არიან მოწყობილნი ეს სხვადასხვა სახელმწიფონი და ან რაა თვით სახელმწიფო?

ორივე ეს კითხვა მეტად დიდმნიშვნელოვანია. შეუძლებელია, ადამიანი საზოგადოებრივ სარბიელზე გამოვიდეს, ცოტაოდნად შეგნებული მოქმედება დაიწყოს, თუ ეს კითხვები ასე თუ ისე გარკვეული არა აქვს. რასაკვირველია, რამდენად დიდმნიშვნელოვანია ზემოდასახელებული კითხვები, იმდენად მეტ სიფრთხილეს და წინდახედულობას მოითხოვს მათი გამორკვევა. რა თქმა უნდა, გაზეთის ფურცლებზე შეუძლებელია სავსებით გამოირკვეს ხსენებული კითხვები. და ჩვენ შეგვიძლიან მხოლოდ გაკვრით შევეხოთ მათ.

მაშ პირველი ჩვენი კითხვა ესაა: რა არის სახელმწიფო?

სახელმწიფოს დამახასიათებელი თვისებაა ძალდატანებითი უფლება; მას უფლება აქვს ძალით განახორციელოს თავისი წადილი,—მაშასადამე, სახელმწიფო, უწინარეს ყოვლისა, ძალდატანებითი ორგანიზაცია არის.

ახლა ვიკითხოთ: ასეთი ორგანიზაცია მუდმივი რამ არის, აუცილებელი თანამყოლია ადამიანის არსებობისა, თუ მას დასაბამი აქვს ადამიანის ისტორიაში?

დღეს მეცნიერებამ საკმაოდ გამოარკვია, რომ იყო ისეთი ხანა ადამიანის ცხოვრებაში, როცა ადამიანთა კრებული არ წარმოადგენდა ძალაზე აშენებულ ორგანიზაციას. ასეთ კრებულში უმცროს-უფროსობა, გარდა ბუნებრივისა, ე. ი. ხნიერებაზე დამოკიდებულისა, არ ყოფილა. აქ ყველა თანასწორი იყო, როგორც უფლებით, ისე მოვალეობით. ესაა პირველყოფილი კომუნიზმი რომლის დამახასიათებელი თვისებაა საკუთრების არ არსებობა. ამგვარად, სახელმწიფო არ არის აუცილებელი სახე ადამიანთა ორგანიზაციისა, მას აქვს დასაბამი კაცობრიობის ისტორიაში, ის ისტორიული მოვლენაა. რასაკვირველია, სახელმწიფო უმიზეზოდ არ გაჩენილა,—განსაზღვრულმა პირობებმა გამოიწვია მისი აღორძინება და გაძლიერება?

ისტორიულ განვითარების ძირითადი ძარღვი არის წარმოება და შთამომავლობის წარმოშობა გვარის დასაცველად. წარმოებით ადამიანი იძენს საარსებო საშუალებას: საკვებ ნივთიერებას, ტანისამოსს, ბინას და საჭირო იარაღებს. ამასთანავე, მისი ბუნებრივი მოთხოვნილებაა გამრავლებაც, თავის გვარის განგრძობა, შთამომების დატოვება. აი, ეს ორი მისწრაფება ადამიანისა—საარსებო საშუალებათა შეძენა და შთამომავლობის გამრავლება—არის ის ძირითადი საფუძველი, რომელზედაც აშენებულია მთელის კაცობრიობის განვითარება. შრომის და ოჯახის ორგანიზაცია—აი საფუძველი ყოველ საზოგადოებრივ განვითარებისა.

ადამიანი მუდმივ ცხოვრობდა ჯგუფებად. ისტორიამ არ იცის განცალკევებული ადამიანის არსებობა. ამიტომაც ადამიანს ბევრი სოციალურ ცხოველს უწოდებს. გარეშე მიზეზი, რამაც ადამიანთა შორის შექმნა მჭიდრო კავშირი, იყო ზოგადი ბრძოლა არსებობისათვის. განცალკევებული ადამიანი პირველყოფილ მდგომარეობაში მეტად სუსტია. მას ბევრი ცხოველი სჯობნის ღონით, სისწრაფით და გამბედაობით. ხოლო ის აჭარბებს ყველა ცხოველებს გონებით, მოხერხებით, მიხვედრილობით. და ეს გონების სიძლიერე სწორედ საზოგადოებაში შეიძინა მან, საზოგადოებრივმა ცხოვრებამ გამოიწვია ძლიერი გონებრივი ზრდა. საზოგადოებაში ცხოვრება ადამიანს ესაჭიროებოდა საკვების საშოვნელად და შთამოების გასამრავლებლად. შენიშნულია, რომ ცხოველი აგებულობით რამდენად მაღლა დგას, იმდენად მისი შვილები დაბადების დროს სუსტია და ამიტომ დაბადების შემდეგ მეტ ხანს მოითხოვს პატრონობას და მოვლას, სანამ დიდებს გაუთანასწორდებოდეს. ადამიანს, როგორც უმაღლეს საფეხურზე მდგომს არსებას, ეს გარემოება უფრო მკაფიოდ ეტყობა. ადამიანის ბავშვს დიდი ხნის განმავლობაში სჭირია მოვლა. ამ გარემოებას მოჰყვა ოჯახის შექმნა, ოჯახური და შემდეგ თემური წესი.

თავდაპირველად ადამიანის ერთობას მისი წევრების საერთო წარმოება ჰქმნის. ეს კავშირი ნათესავურია. ადამიანი ჯერ კიდევ ველურად ცხოვრობს, განსაკუთრებით თბილ ქვეყნებში, საზრდოობს ხეხილის ნაყოფით და საზოგადოდ ყველა იმ ნივთიერებით, რომელსაც ბუნება აწვდის მზა-მზარეულად. ამ მდგომარეობაში თემის წევრთა ურთიერთობა თანასწორობის პრინციპზეა აგებული. ასეთი იყო ბუნებრივი კომუნიზმი. ამ ხანაში ადამიანს მოსახმარებლად მხოლოდ ბუნებრივი იარაღი აქვს—საკუთარი ხელები.

მაგრამ გაიარა დრო და ადამიანმა ხელოვნური იარაღი შექმნა, ხელის შრომა ხელოვნურ იარაღის მოხმარებით შესცვალა. აქედან იწყება ადამიანის გამარჯვება ბუნებაზე, აქედანვე იწყება ნამდვილი შრომაც, ესე იგი წინადვე განსაზღვრული და მოფიქრებული მოქმედება დასახულ მიზნის მისაღწევად.

უმთავრესი იარაღი, რომელსაც ადამიანის ცხოვრებაზე ძლიერი გავლენა ჰქონდა, იყო შვილდ-ისარი. შვილდ-ისარი საკმაოდ რთული იარაღია და მანაც თავისი ევოლუცია გამოიარა. მის გამოგონებამდის ადამიანს სხვა უფრო მარტივი იარაღი ჰქონია. ხოლო შვილდ-ისრის გამოგონებით მან საგრძნობლად გაიადვილა სასაზრდოვო მასალის შოვნა,—მან დაიწყო სისტემატიური ნადირობა.

სისტემატიურ ნადირობის შემოღებას მოჰყვა თემში შრომის განაწილება. ადამიანმა უკვე იცოდა ცეცხლის ხმარება, ჰქონდა ქვის ცული, ზოგიერთი საშინაო სამკაული, ცდილობდა ერთ ადგილს დაბინავებულიყო და ფეხი მოეკიდნა. ამნაირად, ცხოვრებაში გაჩნდა ორნაირი საქმე საგარეო და საშინაოც. ვინ უნდა დარჩეს შინ? რასაკვირველია, ქალი. ამას მოითხოვს შვილის აღზრდის საჭიროება. ამიტომ ყველა საშინაო საქმეც ქალს დაევალა. სამაგიეროდ, მამაკაცი გადის, ნადირობს. აი, აქაა დასაწყისი ქალის დამონავებისა. თემის შიერვას წინამძღოლი ასე უხსნის ქალის დანიშნულებას გეარნეს: „ქალი შექმნილია მუშაობისთვის. ერთ ქალს შეუძლია იმდენი ტვირთი აიკიდოს, რამდენსაც ორი მამაკაციც კი ვერ მოერევა. ის დაგვიდგამს კარავს, გვიკერავს ტანისამოსს, ცეცხლს გვინთებს ღამით, ასე რომ უქალებოდ შეუძლებელი იქნებოდა ჩვენთვის ხანგრძლივი მოგზაურობა“. თანდათან საოჯახო საქმეები რთულდება, თანდათან ქალისთვის საძნელო ხდება დიდი ხნით ბინის დატოვება. ამიტომ ის თანდათან ნაკლებ მონაწილეობას იღებს სათემო ყრილობაში და ბოლოს სრულიად ყრილობის გარეშე რჩება, სრულიად დაკარგა ყრილობაში მონაწილეობის უფლება, რადგან ეს უფლება იმას აქვს, ვინც მას ახორციელებს. ამასთან არ უნდა დავგავიწყდეს ძირითადი გარემოება. მამაკაცის შეიარაღება და სანადიროთ გასვლა, ხოლო ქალის სახლში დარჩენა ნიშნავდა იმას, რომ ქალი თავის საზოგადოებაში სრულიად დამოკიდებული დარჩა მამაკაცისაგან, და ამან კიდევ უფრო გააძლიერა მისი დამონავება. ამნაირათ მამაკაცის უფლება ქალზე თანდათან იზრდება: ქალი ნივთათ იქცევა. მამაკაცი მას იტაცებს, ყიდის, აგირავებს, და თუ სურს, სიცოცხლესაც უსპობს. ქალი უუფლებო მონაა, რომლის ბედი სავსებით მამაკაცის ხელშია. იაპონელი მეცნიერი გიროიუკი კატო ამნაირათ ახასიათებს ქალის ბედს: მამაკაცების დესპოტიზმი პირველათ გამომჟღავნდა და თანდათან გაძლიერდა მხოლოდ ცოტათ თუ ბევრათ განვითარებულ საზოგადოებაში, ასე რომ აქაც თითქო იგივე კანონი მოქმედობს, რაც თავისუფალთა დამონების ბრძოლაში, სახელდობ: რამდენად ჩვენ უფრო ვუახლოვდებით ცხოველურ მდგომარეობას, იმდენად თავისუფლება აბსოლუტურია, შეუზღუდველია. პირველი დანაწილება საზოგადოებაში მოხდა მამაკაცსა და ქალს შორის; ამ დანაწილებას შედეგათ მოყვა ერთი სქესისაგან მეორეს დამონავება: მამაკაცი—შეიარაღებული მონადირე და მასთან განუსაზღვრელი ბატონი, მეორე მხრით ქალი უიარალო და უუფლებო,—განუსაზღვრელი მონა.

ნადირობის დროს ადამიანმა გააშინაურა ზოგიერთი ცხოველი. ამ დროდან მან ხელ მიჰყო მწყემსობას. ამავე დროში მან დაიწყო ზოგიერთი მცენარის მოშენება, გაჩნდა მიწის დამუშავება. ამით საზოგადოებაში შრომა დანაწილდა. გაჩნდნენ საქონლის მომშენი თემები და მიწის დამმუშავებელი თემები. ამ შრომის დანაწილებამ გამოიწვია ნაწარმოების გადაცვლის საჭიროება. რასაკვირველია, თავდაპირველად ეს გადაცვლა მეტათ სუსტია, მარა თანდათან იზრდება. ამავე დროს ჩნდება ხელოსნობაც. რამდენათ იარაღის ხმარება ვრცელდება და მასთან თვით იარაღიც რთულდება, იმდენათ საჭირო ხდება, რომ მის მოსამზადებლათ განსაკუთრებულმა ადამიანებმა იმუშაონ, ჩნდებიან მარტო იარაღის მკეთებელნი, ხელოსნები. ხელოსანი მარტო იარაღს ამზადებს, სოფლის მეურნე მას აწვდის იარაღის სამაგიეროდ თავის ნაწარმოებს.

მიწის დამუშავების გაჩენას თან მოყვა ორი მოვლენა: 1) სოფლის მეურნე დაბინავდა, სამუდამოდ დასახლდა ერთ ადგილას და 2) გაჩნდა მონიაბა.

ადამიანის გამრავლებას თან მოყვა მისი თემებათ დაყოფა. საარსებო საშუალებათა მოპოების საჭიროებამ ამ თემებში თავიდანვე დაბადა ქიშპობა. ერთი თემი მეორეს ემტერება, ერთი თემი მეორეს ეომება. სანამ ადამიანმა მიწის დამუშავება არ იცოდა, სანამ წარმოების საშუალებანი იმდენად არ განვითარდა, რომ ადამიანს შეძლება მიეცა თავისი სარჩოც დაემუშავებინა და კიდევ ზედმეტი საკვები დაემზადებინა, მანამდის

ეროვნული ბიბლიოთეკა

გზაზე ჩან-ჩენძის მხარეს დაეცა მტერს. ამავე დროს დასავლეთიდანაც გამოჩნდა ჩვენი ესკადრონი და რაზმები. ორთავე მხარეს უკან დაგვახევინეს. დილით, 9 მაისს, რუსების ცხენოსანი ჯარი დასავლეთისკენ გამოჩნდა, საღამოთი სრულიად მიეფარა.

(ღამის დეპეშები იხილეთ მე-4 გვერდზე.)

ჟურნალ-გაზეთებიდგან

როჟესტვენსკის დახასიათება. „დეილი ქრონიკლ“-ის კორესპონდენტი ჰონკონგიდან დეპეშით იუწყება: ფრანგების სიტყვით, როჟესტვენსკი რუს მეზღვაურთათვის საშინელება რამ არის. თავის ხელქვეითს უმნიშვნელო საქმეზე სასტიკად სჯის. ისეთი მაგალითებიც ყოფილა, რომ დამნაშავე აფიცერი როჟესტვენსკის კაჩეგარის ალაგას დაუყენებია და რამდენიმე დღე უმუშავებია (რ.).

გერმანია და ზავი. ეხლა საბოლოოდ გამოირკვა, რომ ევროპას ომში ჩარევა და რუსეთ-იაპონიის მორიგება უნდა. ამისთვის ევროპა კონფერენციის მოწვევას აპირობს. კონფერენციის მოწვევას არ ეთანხმება მხოლოდ გერმანია, რომელიც „თავის ნეიტრალიტეტის დასაცავად“ ევროპას ეუბნება, რა თქვენი საქმეა,—რუსეთმაც და იაპონიამაც იმდენი იომონ, სანამ მოსწყინდებათ, და მერე თვითონვე შერიგდებიანო. ყველასთვის ცხადია, რომ გერმანიას უნდა ახლანდელ ომით ორივე მებრძოლი სახელმწიფო მოიქანცოს, დასუსტდეს და შორეულ აღმოსავლეთსა და ევროპაშიაც გერმანიამ დიდი გავლენა მოიპოვოს. ამის გამო ინგლისელები გერმანიას უკიჟინებენ და მის ვიწრო, ეგოისტურ პოლიტიკას ჰგმობენ (რ.).

მანჯურიაში. „რუს. სლოვო“-ს შანჰაიდან დეპეშით ატყობინებენ: ეხლა კი ცხადად სჩანს, რომ იაპონელებს გირინის აღება უნდათ. გირინი იაპონელთათვის საჭიროა, რადგან ამ ქალაქის აღების შემდეგ იაპონელები ვლადივოსტოკს ალყას ადვილად შემოარტყამენ.

ეხლა იაპონელები იმასა ცდილობენ, რომ როჟესტვენსკის ყოველნაირად გაუჭირონ საქმე, ბრძოლა დააგვიანონ და სახალინი დაიჭირონ.

იაპონიის საადმირალომ გამოაცხადა, ამა და ამ დღეს საჯარო ვაჭრობით პორტ-არტურის გარე ნავთსადგურში ჩაძირული 22 სავაჭრო გემი გაიყიდებაო (რ.).

ადმ. როჟესტვენსკი და საფრანგეთის ნეიტრალიტეტი. „ბერლინერ ტაგებლატ“-ს დეპეშით ატყობინებენ: საფრანგეთის ადმირალმა ჟონკირმა რამდენჯერმე მოაგონა როჟესტვენსკის ნეიტრალიტეტის წესები და ბოლოს შეეკამათა კიდევაც. როჟესტვენსკი ყურსაც არ იბერტყავს და პასუხსაც არ აძლევს. ისე იქცევა, თითქოს თავის სახლში იყოს, და პირდაპირ აცხადებს, ისე ვიქცევი, როგორც მე მსურს, და შემდეგშიაც ისე მოვიქცევი, როგორც ჩემი ნება იქნებაო. როჟესტვენსკის ამაზე შესაფერი პასუხი მისცეს, მაგრამ ვერც ამით გახდნენ რასმე: როჟესტვენსკი მაინც თავისას არ იშლის და წამდაუწუმ ნეიტრალიტეტს არღვევს.

მეზღვაური (მატროსები) როჟესტვენსკის ხელქვეითნი კი არა, მონები არიან (რ. ს.).

ტყვე რუსების გადმოყვანა იაპონიიდან. რუსებმა დატყვევებულთა გადმოყვანა გადასწყვიტეს და ამ საქმის თადარიგს წინდაწინვე უდგებიან. ეს საქმე მიანდეს გერმანიის მეგემეთა საზოგადოებას „ლლოიდს“,—რომელმაც რუსეთ-იაპონიის ომით რუსეთიდან 70 მილიონ მანეთით მოითბო ხელი. იაპონიიდან რუსეთში თითო სალდათის გადმოყვანაზე „ლლოიდი“ თხოულობს 174 მანათს, აფიცერზე—400 მან. უნდა გადმოიყვანონ სულ 45 ათასამდე კაცი (ამ ჟამად იაპონიაში 70 ათასზე მეტი ტყვეა), რაიც 9 მილიონ მანათს შეადგენს. მცოდნეთა ანგარიშით, თითო კაცის გადმოყვანა 90 მანათზე მეტი არ დაჯდება (რ. ვ.).

დეპეშა

(საკუთარის კორესპონდენტებისაგან)

ქუთაისი, 12 მაისი. დღეს, დილის 10 საათზე, აქ მოიყვანეს სამეგრელოდან 72 სოფლელი, მათ შორის სტუდენტი და მასწავლებელი. მატარებლის მოსვლისას სიმღერა გაისმა.

გენერალ-გუბერნატორმა თ-დ ჯამბაკურ-ორბელიანმა ახსნა მისგანვე განჩინებული ჯარიმა: ვაჭრებს—სავაჭროების დაკეტვისათვის 30 წარსულ აპრილს და მეეტლეებს—გაფიცვისათვის.

ნახიჩევანი, 12 მაისი. თათრებმა ერთი სომეხი დაიჭირეს, რომელსაც აღმოაჩნდა ხანჯალი, რევოლვერი და ორი ყუმბარა. დილის 9 საათზე საშინელი სროლა ისმოდა ჩუჩებში. სომხები და თათრები ხოცავენ ერთმანეთს. თათრები ერთ სომხის სახლს დიეცნენ და მცხოვრებნი ერთიანად დახოცეს. პოლიცია შესაფერ ღონისძიებას ღებულობს სისხლის ღვრა თანდათან მატულობს.

ახალი ამბავი

✦ 6 მაისს, საღამოს 9 საათზე, **ნახიჩევანში** ვიღაც უცნობებმა **ერთი თათარი მოჰკლეს** ქალაქის განაპირა ადგილას, იქ, სადაც სომხების სოფელ ალიაპატისკენ მიმავალი შარა-გზა არის. თათრებმა იფიქრეს, მკვლელი ალიაპატელი სომხები იქნებიანო და იმავ ღამეს ერთი ალიაპატელი სომეხი მოჰკლეს. დილას მოჰკლეს კიდევ მეორე სომეხი. დუქნები დაკეტილია. ქალაქში შიშიანობაა, ქუჩებში ჯარი დადის. (მშაკ).

✦ ბორჯომიდან გვატყობინებენ: ადგილობრივ ბოქაულს სოფ. წითელი მთის მცხოვრების **გიორგი ხომერიკის სახლში აღმოუჩენია შვიდი ცალი ბერდანკა** და სასროლი პატრონები. ხომერიკს ეს თოფები და პატრონები შეუძენია ბორჯომის საუფლისწულო მამულების ყარაულის ოქრო არევაძისაგან.

✦ როგორც გორის მაზრის სოფელ შელეურიდან გვატყობინებენ, ამ სოფლის მცხოვრები კაბისაშვილები, 11 კაცი, **შეიარაღებულნი თავს დასხმიან თავისსავე სოფლელის** ნიკოლოოზ კოზაშვილის სახლს და ამ სახლში მყოფნი კოზაშვილები მძიმედ დაუჭრიათ. კაბისაშვილები ამბობენ, „კოზაშვილებმა საერთო საქმეში გვიღალატესო“.

✦ ოთხშაბათს, 11 მაისს, ბაქოს გუბერნატორის **თ-დ ნაკაშიძის მკვლელობის გამოსაძიებლად** ბაქოში წვიდა კავკასიის ნამესტნიკის თანაშემწე, საპოლიციო ნაწილის გამგე გენერალ-მაიორი შირინკინი.

✦ როგორც „კასპი“-ს გაუგია, **ამიერ-კავკასიის რკინის გზის უფროსად, ნაცვლად ი. კ. ივანოვსკისა,** რომელიც ზაბაიკალის გზაზე იქმნა გადაყვანილი, **ინიშნება ინჟინერი ი. ს. შაიკევიჩი**, რომელიც ამ რამდენიმე წლის წინად ამიერ-კავკასიის რკინის გზის უფროსის თანაშემწედ იყო.

✦ მიწის **მზომელთა სასწავლებლის ერთმა მოწაფეთა ჯგუფმა კავკასიის** ნამესტნიკის თანაშემწეს სულთან-კრიმ-გირეის თხოვნით მიჰმართა. მოწაფენი სთხოვენ, გვიშუამდგომლეთ ნამესტნიკთან, რომ სწავლა ახლავე განახლდესო. კრიმ-გირეის გამოუხმია ამ საქმის შესახებ სასწავლებლის უფროსი ბ-ნი კაზაკევიჩი და მოულაპარაკნიათ. ლაპარაკს შედეგად ის მოჰყვა, რომ ნამესტნიკმა იუსტიციის მინისტრს დეპეშით მოსთხოვა სწავლის ეხლავე განახლება. მინისტრისაგან პასუხი ჯერ არ მოსულა.

✦ განჯის მაზრის რამდენისამე სოფლის გლეხებს შეუმუშავებიათ **თავიანთი მოთხოვნილებანი და გაუგზავნიათ კავკასიის ნამესტნიკისათვის.** გლეხები აღნიშნავენ თავიანთ შევიწროებულ მდგომარეობას და ითხოვენ მის გაუმჯობესობას (მშაკ).

✦ ტფილისელ ზოგიერთმა მეაფთიაქემ განაცხადა, გაფიცულ ფარმაცევტთაგან ყველას ვერ მივიღებთ, თუმცა სამედიატორო სამართალზე კი თანახმა ვართო. გაფიცულებმა ამაზე უპასუხეს,—ჩვენც მუშაობას არ დავიწყებთ, თუ **ყველა გაფიცულებს უკანვე არ მიიღებთო**. ამისათვის გუშინ აფთიაქის პატრონებს თათბირი ჰქონდათ და ყველანი დათანხმდნენ გაფიცულთა უკანვე მიღებაზე.

✦ დუშეთის მაზრის სოფელ წილკანსა, მჭადისჯვარსა, ძალისსა და ახალგორში მყოფი **ჯარი გამოიყვანეს ამ სოფლებიდან.** მხოლოდ მუხრანში-ღა დარჩა, საუფლისწულო მამულების დასაცველად. დუშეთშიაც დარჩა 65 ჯარისკაცი. ეს რაზმი საჭიროებისამებრ გამოჰყავს სამაზრო ადმინისტრაციას.

✦ დუშეთის მაზრის უფროსმა სთხოვა გუბერნატორს, მოახდინეთ კანკარგულება, რომ საარტილერიო **ნაწილის უფროსმა დააკმაყოფილოს** ბეგარაზე ურმებით გასული ჩემდამი რწმუნებულ მაზრაში მცხოვრები 98 კომლი გლეხკაციო.

✦ 4 მაისს, დილის 11 საათზე, **გაიფიცნენ კავკავის რკინის გზის ქარხნის მუშები** და მოხელეები. რკინის გზის უფროსი დაჰპირებია, მუშათა ზოგიერთ მოთხოვნილებას დავაკმაყოფილებო (მშაკ).

✦ სააქციზო მმართველობა აცნობებს ქალაქის გამგეობას: ამა წლის 13 აპრილს უმაღლესად დამტკიცებულ წესების თანახმად, გაცნობებთ, რომ **ამიერიდან არსდება თითო კოლოფ წუმწუმაზე**, რომელშიაც 50 ცალია, ½ კაპეიკი აქციზი, ასორმოცდა-ათ ცალიანზე—1 კაპეიკი, ორასოცდახუთ ცალიან კოლოფზე 1½ კაპეიკი და 300 ცალიანზე—2 კაპეიკი. ეს აქციზი შეეხება რუსეთში დამზადებულ შვედურ წუმწუმებს. საზღვარგარეთიდან მოსულზე კი აქციზი ერთი-ორად უნდა გადახდეს. 2 კვირის განმავლობაში ვაჭრებს შეუძლიათ წინადელი ბანდეროლები იხმარონ, ახალი ბანდეროლები ხაზინაში უნდა შეიძინონ, ხოლო სადაც ხაზინა არ არის, სააქციზო მოხელისაგან. ზემო აღნიშნული დადგენილებანი ძალაში შედის 15 მაისიდან.

✦ მომავალ კვირაში ბ-ნი ვლ. **ალექსი-მესხიშვილი ბათუმში მიემგზავრება** რამდენიმე წარმოდგენის გასამართავად. ბათუმის შემდეგ წარმოდგენებს სხვა ქალაქებშიაც გამართავს.

✦ ოთხშაბათს, 11 მაისს, საარტისტო საზოგადოების **დარბაზში საჯარო ლექცია წაიკითხა ექიმმა ა. ხატისოვმა.** ლექტორი შეეხო ახალ ავადმყოფობას კისრისა და ხერხემლის ძარღვების გაშეშებას, რომელსაც „მინინგიტი“ უწოდა მედიცინამ. ხალხი ბლომად დაესწრო.

✦ ქალაქის გამგეობამ ნება დართო ქალაქის გამგეობის წევრს ტ. ა. **ენფიანჯიანცს ერთი თვით საზღვარ-გარედ სამკურნალოდ გამგზავრებისა.** მის თანამდებობის აღსრულება მიენდო ორ წევრს თ-დთ ალუთინსკი-დოლგორუკოვსა და ვ. ნ. ჩერქეზიშვილს.

✦ გუშინ, 12 მაისს, ქალაქის გამგეობის მოსამსახურეებმა მოურავს მიმართეს თხოვნით, სათავადო მთავრობასთან უშუამდგომლოს, რომ **ნება მიეცეთ იარაღის ტარებისა.**

✦ გუშინ, 12 მაისს, **პეტერბურგში გაემგზავრა** კავკასიის **ნამესტნიკის პირადი მდივანი** კამერ-იუნკერი პუშჩინინი.

✦ არქიმანდრიტს ნაჰაპეტ ნაჰაპეტიანს, რომელიც **კავკასიის ადრინდელმა ადმინისტრაციამ გადაასახლა კავკასიიდან,** ნება მიუღია დაბრუნდეს ეჩმიაძინში («მშაკ»).

✦ „ტარაზს“ ატყობინებენ ეჩმიაძინიდან, რომ იქ **სამზადისში არიან კავკასიის ნამესტნიკის კარგად დასახვედრად.** ამის შემდეგ სომხეთა კათალიკოსი ჩამოვა ტფილისში და ეწვევა ნამესტნიკს.

✦ შაბათს, 14 მარტს, **გორში, ტფილისის ქართველ მსახიობთა მონაწილეობით, წარმოდგენილი იქმნება** ფოსის სამ-მოქმედებიანი დრამა „დამნაშავეა?“

✦ **სომხეთა სასულიერო სემინარია წელს დაასრულა** 30 კაცმა, ამათში 8 კაცი ტფილისელია.

✦ სად. უჯარმაზე გუშინ, 12 მაისს, ნაშუადღევის 3 საათზე უპოვიათ ვიღაც უცნობ კაცის გვამი მატარებლისაგან გასრესილი.

✦ სოფ. ახალდაბაში (გორის მაზრა) ვასილ ბდოაძეს მძიმედ დაუჭრია თავისავე სოფლელი ნიკოლოზ ბლიაძე.

✦ მივიღეთ **შემდეგი სომხური წიგნები:** 1) ჟურნალი „არარატი“, № 4, აპრილისა. 2) გ. აპრილიანი—„ერთი წინადადება სოფლის მღვდლებს“ და «ჭეშმარიტი ქველმოქმედი». წიგნი სუფთად არის გამოცემული. ავტორი ამ წიგნს უძღვნის მღვდელ არსენ ბაგრატუნის, მის 30 წლის საპედაგოგიო მოღვაწეობის გამო. წიგნში ავტორი ამბობს, თუ რა უნდა იცოდნენ სოფლის მღვდლებმა, რომ გლეხებს გაჭირვების დროს დაეხმარონ. წიგნი ღირს 15 კაპ., რაიცა ძვირია.

✦ დ. ცხინვალში, 77 ტენგინის პოლკის ჯარის კაცი ელდო კრიხელი მძიმეთ დაუჭრიათ ამ დაბის მცხოვრებთ ისააკ მონაშეროვს და ნაილ ათენელოვს.

გაზეთ „კავკაზ“-ში (№ 121) შემდეგი ცნობაა დაბეჭდილი:

მთავრობის ნებართვით და მის მაღალ უსამღვდელოების ლოცვა-კურთხევით, 9 მაისს სამისიონერო მეორე ეკლესიაში 1 საათზე დანიშნულ იყო ბრწყინვალე სამადლობელი პარაკლისი.

დანიშნულ დროს ადრევე ძმობის დარბაზი ანდრეევის ქუჩაზე გაიჭედა მუშა ხალხით. სწორედ პირველს საათზე, ზარების რეკვით, დაიწყო ლიტანია ეკლესიიდან ძმობის დარბაზისკენ, სადაც ხატები ესტრადაზე დაესვენებინათ. პარაკლისის დაწყებამდე მისიონერთა მეორე ეკლესიის დეკანოზმა გოროდცევმა სიტყვით მიმართა ხალხს, სადაც გამოსთქვა წესიერების დამამყარებელთა სიხარული ამ მშვიდობიან მანიფესტაციის გამო, მუშათა ცხოვრება დაასურათა, მოიხსენია, რომ ისინი იძულებულ არიან შეუსვენებლივ იმუშაონ და დასკვნაში სასურველად სცნო, რომ შეკრებულობა საფუძვლად და დასაწყისად დაედვას სხვა პატრიოტულს კრებებს.

პარაკლისის დროს ლოცვა მეფისა და მამულისა დიდის აღფრთოვანებით იგალობეს ყველა დამსწრეთ.

პარაკლისი სამეფო სახლისა, ქრისტეს მოსავ მხედრობისა და რუსეთის ნამდვილ ქვეშევრდომთა მრავალჟამიერით დასრულდა.

პარაკლისის ბოლოს დეკანოზმა გოროდცევმა წაიკითხა მუშების მიერ შედგენილი თხოვნა კავკასიის ნამესტნიკთან, სადაც სთხოვდნენ დეპეშით განეცხადებინა მის უდიდებულესობისათვის ტფილისის მუშათა უქვეშევრდომილესი გრძნობანი. მოგვყავს შინაარსი ამ თხოვნისა:

„თქვენო ბრწყინვალებავ, ჩვენ, კავკასიის რკინის გზებზე მომუშავე მუშები, რომლებიც ტფილისში ვბინადრობთ, ძმობის დარბაზში პარაკლისის მერე, სადაც ვილოცეთ ჩვენ მიერ ღმერთად მიჩნეულ მეფისა და მის ქრისტეს მოყვარე მხედრობის დღეგრძელობაზე, მოწიწებითა გთხოვთ მის უდიდებულესობის ფეხთა წინაშე მოახსენოთ შემდეგი: „მეფევ, ჩვენო მამავ! შენთან ერთად ჩვენც ვსწუხვართ ჩვენის ჯარის დამარცხებას, მაგრამ ჩვენი რუსული გული გვამცნებს, რომ ღმერთი წყალობის თვალით გადმოხედავს ჩვენს ძვირფასს სამშობლოს და მოგვანიჭებს გამარჯვებას ამაყ ურწმუნოთა ზედა.

უფრო მეტად იტანჯება ჩვენი გული ბოროტ-მეამბოხეთაგან, რომელნიც მუქარითა და ბოროტის მოქმედებით ხელს გვიშლიან—პატიოსნურად და სინდისიერად შევასრულოთ ის მცირე მოვალეობანი, რაც ვალად გვაძევს, როგორც შენს უწყინარ ქვეშევრდომთ. მეამბოხენი ისე გაძლიერდნენ ჩვენს კავკასიაში, რომ ყოველი პატიოსანი მუშაკის სიცოცხლე საფრთხეშია, მრავალია იძულებული დასტოვოს ყოველივე და რუსეთის შიდა გუბერნიებში გადასახლდეს, თუ თავისი ოჯახის დაობლება, დაწიოკება არ უნდა.

უმოწყალესო ხელმწიფევ!

ჩვენ ვუწყით, რომ შენი მეფური გული ჰგრძნობს ყველა შენს ქვეშევრდომთა გაჭირვებას,—ვიცით, რომ ჩვენი ყოფა-ცხოვრებაც გაუმჯობესდება.

მაგრამ ეს არ არის ჩვენი სათხოვარი დღეს. ჩვენ ვთხოულობთ,—შეძლება მოგვეცეს მშვიდობიანად განვაგრძოთ ჩვენი საქმეები, რომ მეამბოხენი უფრო ძლიერნი არ იყვნენ, ვიდრე პატიოსანი მშრომელნი. ჩვენ შრომა გვწყურიან და მამულის მოღალატეებთან საერთო არა გვინდარა ვიქონიოთ. შენ, ჩვენო დიდებულო თვითმპყრობელო, გაგვახარე, როდესაც შენი ნამესტნიკი (მოადგილე) გამოგვიგზავნე; ღრმად გვრწამს, რომ შენის ერთგულის მსახურის მეოხებით მშვიდობა დამყარდება ჩვენს მხარეში.

გადავიხადეთ რა დღეს პარაკლისი, რომელიც აუტანელი და მძიმე გარემოებათა გამო ვერ მოვახერხეთ 1 მაისს, ჩვენ მხურვალედ ვევედრებით უფალს, რომ ხელი წაგიმართოს მან მეამბოხეთა შემუსვრაში ჩვენს მხარეს, რომ იაპონელთა დამარცხებამ ამცნოს მეამბოხეთა შენთა, რა დიდებულია და ძლიერი შენი საბრძანებელი, რომ რუსეთის ძლიერება ხალხისა და თვითმპყრობელ მეფის ერთობაშია.

და ჩვენც, მეფეო, ვემხობით შენთა ფერხთა წინაშე უქვეშევრდომილესის გრძნობით და გევედრებით, მიიღეთ იგი, ვითარცა უმწიკვლო ხარკი შენთვის, ჩვენო თვითმპყრობელო, უკანასკნელის სისხლის წვეთამდე თაყვანცემულის გულისა“.

ამ თხოვნას ნამესტნიკთან მუშათა მინდობილობით, რომელთა რიცხვი 1,500 აღემატებოდა დარბაზში, ხელი მოაწერეს მუშათა რწმუნებულთ.

ამ თხოვნის წაკითხვამ აღუწერელი აღტაცება გამოიწვია, ხმა მაღლა შემოსძახა ხალხმა ხალხური ჰიმნი და ისმოდა განუწყვეტელი „ურა“.

ამის შემდგომ მუშებს გამოუცხადეს, რომ კავკასიის ნამესტნიკმა შეიტყო მათი მამულიშვილური შეკრებულობა და სურვილი გამოაცხადა, რომ დღესვე მიიღებს მუშათა დეპუტაციას. და წინადადება მისცეს ხალხს ან აქედანვე გავგზავნოთ დეპუტაცია, ან ნამესტნიკის სასახლესთან წავიდეთ ყველა და იქ გამოვარჩიოთ სასახლეში გასაგზავნი დეპუტაციაო.

მუშებმა გადასწყვიტეს ერთად წასვლა სასახლისკენ. ხალხურის ჰიმნის სიმღერით, ნაციონალურ ბაირაღებით გაიარეს ვერის ხიდი. გზაში ხან ჰიმნსა მღეროდნენ, ხან ლოცვას მეფისა და მამულისას. სასახლეში შეიპატიჟეს დეპუტაცია, დანარჩენი ხალხი სასახლის წინ იდგა და მღეროდა ჰიმნს, „ურა“-ს ხელმწიფე იმპერატორს, „ურა“ ნამესტნიკს. დეპუტაცია რომ დაბრუნდა, მუშები მშვიდობიანად დაიშალნენ.

ქუთაისის ცხოვრება

9 მაისს, ქალაქის გამგეობის დარბაზში, დ. ნ. ავალიანის თავმჯდომარეობით, მოხდა ქალაქის თვითმმართველობაში მოსამსახურე პირთა კრება. კრების მიზანი იყო—გამოეძებნა საშუალებანი მოსამსახურეთა ცხოვრების გასაუმჯობესებლად. მოსამსახურეებმა ნათლად დახატეს მათი გაჭირვებული მოგომარეობა და საჭიროდ დაინახეს ამ მდგომარეობის გასაუმჯობესებლად შემდეგი სთხოვოს ქალაქის გამგეობას:

I. შესწორდეს საპენსიო კასის წესდება ამგვარად: 1) იმ პირთ, რომელნიც 25 წელს იმსახურებენ ქალაქის თვითმმართველობაში, დაენიშნოთ პენსიად ჯამაგირის ¾; ვინც 20 წელს იმსახურებს—ჯამაგირის ⅔; 15 წლის სამსახურისთვის—ნახევარი ჯამაგირი; თუ მოსამსახურე ავადმყოფობის მიზეზით 10-დან 15 წლამდის ანებებს თავს სამსახურს, მასაც ნახევარი ჯამაგირი დაენიშნოს პენსიად; 2) იმ პირთ, რომელნიც საპენსიო წესდების დამტკიცებამდის შესულან სამსახურში, საპენსიო თანხის დასაარსებლად არ უნდა გარდახდეთ წარსულ წლების ჯამაგირების 4 პროც., როგორც ამას თხოულობს საბჭოს-მიერ დამტკიცებული საპენსიო წესდება; 3) პენსიას უნდა იღებდეს ქალაქის თვით-მმართველობის ყველა მოსამსახურე, დიდისა თუ პატარა თანამდებობისა.

II. მოსამსახურენი თავის ოჯახობით უსასყიდლოდ უნდა სარგებლობდნენ ქალაქის ექიმების დახმარებით; უსასყიდლოდ უნდა ეძლეოდეთ წამალი ქალაქის აფთიაქიდან და საჭიროების დროს უსასყიდლოდვე უნდა სარგებლობდნენ საწოლით ქალაქის საავადმყოფოში.

III. ვინც წლიურად იღებს ჯამაგირს 500 მანათზე ნაკლებს, მოემატოს ჯამაგირის 30 პროც.; ვინც ხუთას მანათზე მანეთზე მეტს იღებს, იმას კი—20 პროცენტი; ამასთანავე, პირველს მოემატოს ყოველ ხუთის წლის სამსახურის შემდეგ ჯამაგირის 20 პროც., მეორეს—10 პროც.

IV. მოსამსახურეთ წელიწადში ორჯერ, საშობაოთა და სააღდგომოდ, დაურიგდეთ საჩუქრად თითოს ნახევარ თვის ჯამაგირი.

V. კანცელარიაში მოსამსახურეთა შტატის გასაძლიერებლად დაქირავებულ იქმნას ორი მწერალი.

VI. გადასახადების მომკრეფ ქალაქის აგენტებს დაენიშნოთ ჯილდოდ 6% ახალ გადასახადებისთვის; ამასთანავე, აგენტების დამხმარე იასაულებს უნდა ჰქირაობდეს ქალაქის გამგეობა თავის ხარჯით.

VII. მოსამსახურეთა შორის უნდა არჩეულ იქმნას კომიტეტი, რომელსაც მიენდობა მოსამსახურეთა მიღება, სამსახურში მათი დაწინაურება ანუ ადგილიდან დათხოვნა. კომიტეტი უნდა შესდგეს 7 კაცისაგან. ქალაქის გამგეობის მხრით კომიტეტში მონაწილეობას მიიღებს ქალაქის მოურავი ან გამგეობის [illegible] წევრი. კომიტეტს ირჩევს კრება ერთის წლის ვადით.

VIII. იმ სასწავლებლებში, რომელსაც ქალაქი ინახავს თავის ხარჯით, მოსამსახურეთა შვილებს უსასყიდლოდ უნდა ასწავლიდნენ.

IX. კრების-მიერ არჩეულ კომიტეტს უნდა მიენდოს მოსამსახურეთა მოვალეობის განსაზღვრა.

X. ამავე კომიტეტს უნდა დაევალოს მოსამსახურეთათვის საჭირო ჟურნალ-გაზეთების გამოწერა და შენახვა.

XI. ავადმყოფობის დროს მოსამსახურეთ ოთხის თვის განმავლობაში უნდა ეძლიოთ სრული ჯამაგირი; ადგილი კი უნდა შეენახოთ 8 თვის განმავლობაში (უკანასკნელ 4 თვეში ჯამაგირს არ უნდა იღებდეს).

XII. დაქირავებულ იქმნას კიდევ ერთი კაცი ქალაქის წიგნთ-საცავ-სამკითხველოსათვის.

ბოლოს კრებამ აირჩია კომიტეტის წევრებად: გ. ს. თუთბერიძე, ნ. ა. ფურცელაძე, დ. ა. ნაზაროვი, დ. ნ. ავალიანი, ი. დ. აბზიანიძე, ი. ს. ჯაფარიძე და დ. პ. მაჭავარიანი.

კრების თავმჯდომარეს ბ-ნს ავალიანს დაევალა მოსამსახურეთა დადგენილებანი ამ დღეებში წარუდგინოს ქალაქის გამგეობას.

✦ ორშაბათს, 9 მაისს, ქუთაისს ეწვია ცნობილი მსახიობი ქალი ლ. ბ. იავორსკაია პეტერ-

---

ომი იყო მხოლოდ ნადირობის ერთი დარგი, სახელდობრ—ნადირობა ადამიანისა ადამიანზე.

აქ მოპირდაპირენი მხოლოდ ერთმანეთის დახოცვას ფიქრობენ. აქ მტრის გამოყენება მხოლოდ ერთნაირად შეიძლებოდა—იგი ვარგოდა, როგორც საკვები მასალა. მართლაც, განვითარების ამ საფეხურზე ადამიანთ-მჭამლობა, კანიბალიზმი, ჩვეულებრივი მოვლენა იყო. მაგრამ, როდესაც ადამიანმა სხვადასხვა იარაღი გამოიგონა და თავისი შრომა იმდენად განაყოფიერა, რომ თვითონ თავისი შრომით შეიძლო თავისი რჩენა და, ამას გარდა, ზოგიერთ რისამე შენახვასაც ახერხებდა შემდეგისათვის, მაშინ გაჩნდა დედამიწაზე მონობა.

გამარჯვებული თემი დამარცხებულებს აღარ ხოცავს,—ამუშავებს, რომ ზედმეტი საკვები მიითვისოს. ამ გარემოების გამო განსაკუთრებული მნიშვნელობა ეძლევა საკუთრებას, განსაკუთრებით მიწას. იმ დროში ჯერ კიდევ ბევრი თავისუფალი მიწა იყო. მაგრამ დამპყრობელი მიისწრაფოდა დასახლებულ ადგილებისკენ, ამას სურდა დასახლებულ ადგილის ხელში ჩაგდება, რომ ამით დაესაკუთრებინა, დაემონავებინა ამ მიწაზე მცხოვრებნი. ამნაირად, საკუთრება შეიქნა ერთი ადამიანის მეორეზე გასაბატონებელ საშუალებად.

მონობა შექმნა არა მარტო ომიანობამ და მისმა შედეგმა—დაპყრობამ. ის გამოიწვია შინაგანმა საზოგადოებრივმა განვითარებამაც. ზევით ჩვენ ვთქვით, რომ ველურ მდგომარეობაში ადამიანები, მამაკაცები მაინც, თანასწორნი იყვნენ, თემის წევრები ერთმანეთისაგან უფლებით არ განირჩეოდნენ, მათ არც განსაკუთრებული საკუთრება ჰქონდათ. აქ თემური ოჯახობა იყო. როცა მიწის დამუშავება გაძლიერდა, ხალხი ერთ ადგილს დაბინავდა, მაშინ გარემოება შეიცვალა. მართალია, შრომის ნაყოფი საგრძნობლად გაიზარდა, მარა იმავე დროს მიწის დამუშავება მოითხოვს განუწყვეტელ, სისტემატიურ მუშაობას. ამავე დროს კი თემთა შორის მტრობა, ერთმანეთის დარბევა არ შემწყდარა, ომიანობა აქაც ჩვეულებრივი მოვლენაა მით უმეტესად, რომ სხვადასხვა ახლო მდგომი თემები ეკონომიურ განვითარების სხვადასხვა საფეხურზეა, სხვადასხვა ავლა-დიდების მქონეა. უფრო ღარიბი თემი სულ იმის ცდაშია, რომ მეზობელს, უფრო შეძლეულს, რამე წაავლიჯოს. აქედან იბადება საჭიროება თავის თავის მუდმივ დაცვისა. ყოველ წუთში უნდა მოელოდეთ მტრის თავდასხმას და მზად იყვეთ მის მოსაგერებლად. რა გავლენა აქვს ამ გარემოებას სოფლის მეურნეობაზე? მისი ოჯახობა, მისი მეურნეობა მოითხოვს მუდმივ ყურადღებას, აქ განუწყვეტელი სამუშაოა. თუ სამუშაო მიატოვა და ომიანობას მოჰკიდა ხელი, მაშინ ჰირნახული ხომ სრულიად დაიღუპა. ამნაირად, შეუძლებელი ხდება ერთსა და იმავე დროს მეურნეობის გაძღოლაც და მტრის მოგერებაც. ამან გამოიწვია თემში შრომის დაყოფა. მტრის მოსაგერებლად გამონაწილდა მხედრობა, რომელიც თავის მოქმედებისთვის შესაფერ სარჩოს იღებს ხალხისაგან. მაგრამ მიწის მუშა შინაგან საქმეებშიაც დარჩა დაძაბუნებული. ზემოდასახელებულ მიზეზების გამო, ის ვერ ახორციელებს თავის საზოგადოებრივ უფლებას. ვერ ახერხებს მონაწილეობა მიიღოს სათემო ყრილობაში, თანდათან შორდება მას და ბოლოს სრულიად კარგავს თავის უფლებას. ხდება უზურპაცია, ხალხის ერთი ნაწილი დანარჩენებს სათემო საქმეში მონაწილეობისა უფლებასართმევს.

ამნაირად, ეკონომიურმა განვითარებამ ხალხის უმრავლესობა ისეთ მდგომარეობაში ჩააყენა, რომ მან ვერ შესძლო თავისი უფლების განხორციელება და ამით კიდეც დაკარგა ეს უფლება, გახდა უუფლებო. ხოლო უუფლებობა ნიშნავს დამონავებას. ბატონობს ის, ვისაც უფლება აქვს, რომელიც მის ხელში გადადის. ამით თემი გაითიშა. საკუთრების მქონე საკუთრებას მოკლებულს დაუპირდაპირდა.

ზემოდ ჩვენ ხელოსნების გაჩენაზე ვილაპარაკეთ. ხელოსნების რიცხვი თანდათან მრავლდება; ისინი თავს იყრიან მოხერხებულ ალაგებში, ჩნდება ქალაქები. შრომის დანაწილებამ გამოიწვია ნაწარმოების გაცვლა-გამოცვლის საჭიროება. თავდაპირველად პირდაპირი გადაცვლა ხდებოდა. მაგრამ რამდენიც დრო გადიოდა, იმდენად პირდაპირი გადაცვლა შეუძლებელი ხდებოდა. მწარმოებელს და მხმარებელს შორის ჩადგა მესამე პირი—ვაჭარი. ისიც ქალაქებს ეტანება. ამნაირათ სოფელი დაუპირდაპირდა ქალაქს. ქალაქი ამზადებს იარაღებს, მის ხელშია ვაჭრობა, სოფელი მიწის შემუშავებას მისდევს და თავის ნაწარმოებს აწვდის ქალაქს.

ჩვენ აღვნიშნეთ თემის თანდათანი დარღვევის პროცესი. შეძლების სხვადასხვაობამ, ინტერესების წინააღმდეგობამ საზოგადოება დაჰყო კლასებათ. გაჩნდა კლასი ეკონომიურად და პოლიტიკურად გაბატონებული. და, აი, ამ ბატონობის დასაცველად დაიბადა ახალი ძალა, ახალი ორგანიზაცია; აი, ეს ორგანიზაცია არის სახელმწიფო. მაშ სახელმწიფო არის კლასთა ბრძოლის შედეგი, ის დაბადა ხალხის სოციალურ კლასებად დანაწილებამ, კლასთა ანტაგონიზმმა. ერთი კლასი ბატონობს მთელ ხალხზე და მის ინტერესებითაა მოწყობილი თვით სახელმწიფოც: ძველს დროში მიწის პატრონები, საშუალო საუკუნოებში—ფეოდალები, ხოლო ბურჟუაზიულ ხანაში კაპიტალისტები. ამნაირად „ცივილიზაციის მქონე საზოგადოება, როგორც ერთეული, წარმოადგენს სახელმწიფოს, რომელიც ყველა დასახელებულ ხანებში არის გაბატონებული—კლასის სახელმწიფო და ყოველთვის არსებითად წარმოადგენს დამონავებულ, ექსპლუატაციის ქვეშ მყოფ კლასების დასაჩაგრავ იარაღს.“

ამნაირად ყოველი სახელმწიფო არსებითად არის ძალის, ანუ ბატონობის ორგანიზაცია. აქ საჭიროა ერთი რამ გვახსოვდეს. ცხოვრება არის მუდმივი ცვალებადი პროცესი. სახელმწიფო, როგორც ისტორიული მოვლენა, მუდმივ ცვლაშია, ის განიცდის შეუჩერებელ ევოლუციას. საზოგადოების მოპირდაპირე ელემენტების ურთიერთი დამოკიდებულება, ურთიერთის ძალის შეფარდება—ცვალებადია. საითკენაა მიმართული ეს ცვალებადობა? საკმარისია ცოტაოდნად დავუკვირდეთ ისტორიას, რომ გამოვირკვიოთ სოციალურ განვითარების ევოლუცია. მონობის ხანაში მონა ნივთია, იმას აფასებენ არა როგორც ადამიანს, არამედ—როგორც სამუშაოდ გამოსადეგ ცხოველს. ფეოდალურ ხანაში სოფლელს ადამიანობის ცოტა უფლება ეძლევა, ხოლო ეხლანდელ განათლებულ ქვეყნებში ყოველ ადამიანს მიუხედავად შეძლებისა აქვს ზოგიერთი ძირითადი უფლებები, რომელნიც მის მოქალაქეობრივ ღირსებას უზრუნველყოფს. ამნაირად ცხოვრება მიდის მონობიდან თავისუფლებისკენ. არავინ იფიქროს, რომ, თუ დაჩაგრებული კლასს ცოტაოდნად თავისი ღირსება აუმაღლებია, ეს ვინმეს კეთილ განზრახვის შედეგი იყოს, ეს პირდაპირ კლასთა ბრძოლის შედეგია. დაჩაგრულთა კლასი თანდათან შეგნებაში შედის და იბრძვის თავისუფლებისთვის. ხოლო ნამდვილს თავისუფლება მაშინ განხორციელდება, როცა თანამედროვე წარმოების ხასიათი მოისპობა. ეკონომიურის მეტოქეობის მოსპობას, ინტერესების წინააღმდეგობის მოსპობას თავისთავად მოჰყვება დღევანდელ ძალაზე აგებულ სახელმწიფოს დარღვევაც. მაშინ საზოგადოება დამყარდება სულ ყველა წევრების სოლიდარობის და თანასწორობის პრინციპზე.

პ. სურგულაძე.

ბურგის ახალი თეატრის დასით. ამ დღეს წარმოადგინეს უავ. ბარიათინსკის ოთხმოქმედებიანი კომედია „Перекаты“. წარმოდგენამ შესანიშნავის ანსამბლით ჩაიარა. მეტად მოეწონა საზოგადოებას ქ-ნი იავორსკაია ოლგა კრუჩინინას როლში და ბ-ნი გორევი—კისსინგერისაში. ტაშის ცემასა და ცხენზე თაიგულების სროლას საზღვარი არ ჰქონდა. თეატრი საზოგადოებით გაჭედილი იყო. საზოგადოებამ პიესის ავტორი გამოითხოვა სცენაზე, მაგრამ აღმოჩნდა, რომ ავტორი თეატრში არ იყო. ქ-ნი იავორსკაია ერთს წარმოდგენას კიდევ გამართავს ქუთაისში, ორშაბათს, 16 მაისს, წარმოადგენენ „Пляска жизни“.

ისარა.

საადგილ-მამულო საკითხი

სოციალური საკითხი ამოუყენეს გვერდში საპოლიტიკო რეფორმების მოთხოვნილებას...

პირველად ჰფიქრობდნენ ზოგიერთები, რომ შეიძლება საპოლიტიკო წყობილების ცვლილება შემოვიდეს რუსეთში სოციალურ ცვლილების შემოუღებლადაც, მაგრამ თვით ხალხმა დაუკავშირა ერთმანეთს ეს ორი მნიშვნელოვანი საკითხი...

მუშათა მოძრაობამ და საადგილ-მამულო მოძრაობამაც დაგვიმტკიცეს, რომ ხალხისათვის ამ ორ საკითხის ერთმანეთში დაშორება წარმოუდგენელი რამეა, თუ მებრძოლე ელემენტები მართლაც ეტრფიან პიროვნების თავისუფლებას.

მშრომელი ხალხი ყურადღებას მოითხოვს, მოითხოვს, რომ გაუმჯობესდეს მისი საპოლიტიკო და ქონებრივი მდგომარეობაც..

ამის მოწინააღმდეგეც არ გამოჩენილა არავინ. მმართველ და არა მმართველ წრეებში ყოველმა პატიოსანმა ადამიანმა გამოაცხადა მაშინვე, რომ ხალხის ქონებრივი მდგომარეობა მასაც საფიქრებლად აქვს, რომ იგიც ცდილობს მუშათა კითხვის, საადგილ-მამულო საკითხის გარკვევას სამართლიანად...

მაგრამ აქაც შეიქმნა აშკარა ის განსხვავება, რომელიც აშორებს ერთმანეთში მმართველ ბიუროკრატიას და საზოგადოების არა მმართველ და განათლებულ ნაწილებს.

ბიუროკრატიამ გადაჭრით გამოაცხადა—კერძო საკუთრების მომხრე ვარო, და საჩქაროდ მოიწვია რამოდენიმე კომისია ამ საქმის გამოსარკვევად. კომისიებს ახლავე განსაზღვრული აქვს სამოქმედო გზა, ახლავე ნაბრძანები აქვს იმ საშუალების დასახელება, რომლითაც თვით კერძო საკუთრების გამაგრება ვერ მოახერხეს რუსეთში. ამ საშუალებამ ვერავითარი სამსახური ვერ გაუწია ხალხის კეთილდღეობას.

სულ სხვა გზას დაადგა ხალხი. არა მმართველმა და განათლებულმა წრეებმა თავიანთი თავი კონსტიტუციონალისტ-დემოკრატებად გამოაცხადეს, თავიანთ დროშაზე წააწერეს მოთხოვნა, რომ მთავრობა ერეოდეს ხოლმე საზოგადოებრივ კლასთა ურთიერთობაში და ცდილობდეს ამ ურთიერთობის თავის ნებაზე შეცვლას.

მართლაც პიროვნების განთავისუფლება შესაძლებელია მხოლოდ იქ, სადაც ხალხის მშრომელი ელემენტები მიაღწევენ იმნაირ მდგომარეობას, რომ მოისპობა მშრომელთა ექსპლუატაცია არა მშრომელთაგან, და საამისო პირობების შექმნა სახელმწიფოს საქმეში ჩაურევლად არ შეიძლება.

ამის მიხედვით უნდა მოეწყოს მომავალი ეკონომიური რეფორმები, რომელიც უნდა შემოვიდეს ცხოვრებაში უთუოდ.

ინტელიგენციაც ამ გზას დაადგა. შემუშავდა რამოდენიმე ეკონომიური პროგრამა. ამ პროგრამებში მუშათა კითხვის შესახებ თითქმის სრული თანხმობა არის ყველაში: შრომის მფარველობა მუშათა წარმომადგენლების მონაწილეობით, სამუშაო დღის შემცირება 8 საათის სამუშაო დღის შემოსაღებად,—ეს არის დემოკრატიულ პროგრამების ერთი უმთავრესი საფუძველთაგანი.

ბევრად უფრო რთული გამოდგა საადგილ-მამულო საკითხი. რამდენი წიგნია დაწერილი ამ საკითხის შესახებ, რამდენი გამოკვლევაა და მაინც დღესაც არ არის მის შესახებ ერთი გარკვეული აზრი შემუშავებული. რატომ? იმიტომ, რომ თვით ცხოვრების პირობები რთულია.

ზოგ პროგრამაში მიწის ნაციონალიზაცია, გასაზოგადოებაა მოთავსებული, ზოგი კიდევ ნაკლებს სჯერდება, და ზოგი მხოლოდ წვრილმან საადგილ-მამულო რეფორმებს მოითხოვს: უნდათ საგლეხო ბანკი, გადასახლების მოწესრიგება, მიწად-მოქმედების გაუმჯობესება და სხ.

სოფლელს საკმარისი მიწა არა აქვს, ამ უტყუარ ფაქტის უარისყოფა არ შეიძლება. ძნელია, აუტანელი საიჯარო პირობები და თანდათან ღარიბდება, უმიწაწყლოდ რჩება, ბოგანოდ იქცევა სოფლელი და ქალაქ ადგილებში გადადის, იქ ქალაქელ მუშას მოქიშპედ უხდება ან სოფელში დარჩენილი იჯარით აღებულ მიწას ღალავს, ცდილობს ახლავე, ორიოდე წელიწადში რაც შეიძლება მეტი შემოსავალი ნახოს აღებულ მიწიდან.

ხალხი იძულებული ხდება სხვისაგან აღებულ მიწით იკვებოს თავი და ამიტომ ცხადია, რომ ახლავე დაუყონებლივ მეტი მიწა უნდა მიანიჭოს სოფლელებს მთავრობამ, ან სახელმწიფომ.

ამიტომ ამ ბოლო ხანებში უფრო ხშირად ლაპარაკობენ მიწის ნაციონალიზაციის, გასაზოგადოების შესახებ, საკითხი, რომელიც საზოგადოების ყურადღებასაც იწვევს და თანდათან, მაგრამ ჯერჯერობით მხოლოდ თეორიულ მსჯელობის ფარგალს არ გასცილებია.

ამბობენ იმასაც, რომ ჯერ-ჯერობით შეიძლება მიეცეს ახლავე ნადელები იმ სოფლელებს, რომელთაც ცოტა აქვთ ადგილი ან იმ უმიწაწყლო სოფლელებსაც, რომელთაც სრულად არა აქვთ შეწყვეტილი კავშირი სოფელთან.

სადაც ბევრია თავისუფალი ადგილი იქ ეს ადგილები დავურიგოთო სოფლელებს, სადაც ცოტაა, სადაც ამიტომ მიწის დარიგება არ შეიძლება, იქიდან ხალხის ნაწილი სხვაგან გადავასახლოთო. მაგრამ ამის შესრულება არ არის ადვილი, რუსეთის სხვადასხვა ნაწილში ცხოვრების პირობები განსხვავებულია და სოფლის მეურნეობაც.

სოფლელებისაგან ამ ახალ ნადელების ყიდვა იმავე შედეგს მოიტანს, რომელიც პირველ გამოსყიდვას მოჰყვა და ამიტომ საფიქრებელია, რომ ხალხი ამნაირ რეფორმას არ მიემხრობა... უსასყიდლოდ ადგილების დარიგება ხაზინას სრულებით დასცემს და ამიტომ არ არის საფიქრებელი.

რამდენი ნადელი უნდა ჩამოეჭრასთ ახლა სოფლელებს. ის თუ მიეცათ, რაც დააკლდათ ბატონ-ყმობის გადავარდნის დროს,—არ ეყოფათ,—მეორეს მხრივ კი ზოგიერთ გუბერნიაში მაინც, მაგ. სარატოვის გუბერნიაში, სრული ნადელი თუ მიეცა ყველა სოფლელს, საჭირო შეიქმნება მთელი სახაზინო ადგილი და „საბატონო“ ადგილების $^3/_4$ ნაწილიც.

ამიტომ ისევე საპოლიტიკო საკითხს უნდა მივუბრუნდეთ და ვთქვათ, რომ საადგილ-მამულო და საზოგადოდ სოციალური საკითხის ასე თუ ისე გადაწყვეტა დამოკიდებულია იმაზე, თუ ვის ხელშია ამ საქმის გადაწყვეტა და მოწესრიგება. ცხადია, რომ ამ საქმის მოწყობაში დიდი მონაწილეობა უნდა მიიღოს სოფლელმა ხალხმა.

ბატონ-ყმობის გადავდების დროს საქმის სათავეში იდგნენ მებატონეები და ბიუროკრატია,—ახლა, როგორიც არ უნდა იყოს წყობილება შემდეგში, საქმის გადამწყვეტი მონაწილეობის მიმღები უნდა შეიქმნეს უთუოდ სოფლელი ხალხი.

ხალხის წარმომადგენელთა მოუწვევლადაც შეიძლება მიენიჭოთ ამ საქმის გარკვევა სოფლელებს, თუ შესდგა განსაკუთრებული სოფლის კომიტეტები, რომელშიაც ყველა წოდების წარმომადგენელი იქნება მოყრილი ერთად. უამისოდ შეუძლებელია სამართლიანი რეფორმა, მაგრამ ეს არის საპოლიტიკო საკითხი სოციალურ საკითხთან მჭიდროდ შეკავშირებული.

თვით სოფლელებმა იციან კარგად, როგორი იქმნება მათი მონაწილეობა იმ კომისიებში, რომელსაც მოითხოვს ბიუროკრატია იქ, სადაც მათ ყოველივე უფლება მოკლებული „ბატონის“ და მთავრობის შიშით მოუხდებათ ამა თუ იმ აზრის ძალაუნებურად მომხრობა.

ამნაირ პირობებში მშრომელ ხალხის სასარგებლო რეფორმების შემოღება არ არის მოსალოდნელი ან საფიქრებელი. („ნაშა ჟიზნ“ № 84.)

რუსეთი

„რუს. სლ.“-ს დაწერილებით ატყობინებენ 6 მაისს **ვარშავაში მომხდარ ყუმბარის აფეთქების ამბავს**: ამ დღეს საკათედრო სობოროში წირვა იყო. ეკლესია დიდის მოხელეებითა და გენერლებით იყო სავსე, საცა გენერალ-გუბერნატორი მაქსიმოვიჩიც უნდა მოსულიყო. თორმეტის ნახევარზე იმ ქუჩიდან, სადაც მაქსიმოვს უნდა გამოევლო, საშინელ აფეთქების ხმა მოისმა. იქვე სამი საშინლად დამახინჯებული გვამი ეგდო. კონდიტერმა ერთი მათგანი, ყუმბარის ამფეთქებელი, იცნო. ეს კაცი რიღასაც მოლოდინში საკანდიტეროს წინ ნახევარ საათს დასეირნობდა. საიდუმლო პოლიციის ორმა აგენტმა ამ კაცს ყურადღება მიაქცია და მისი დაპატიმრება მოისურვა. აგენტები ეცნენ. ბრძოლა დაიწყო. უცნობმა რაკი დაატყო, რომ აგენტებს ვერ წაუვიდოდა, საკანდიტეროს აივანზე მყოფ ხალხს დაუყვირა: „არიქა გაიქეცითო“. თვალის დახამხამებაზე აივანი დაცალიერდა; იმავ წუთს საშინელი გრიალი მოისმა. უცნობი და ორი აგენტი იქვე გათავდნენ. ყუმბარამ ტროტუარის არშინიანი ქვები სულ დაამსხვრია, ერთ არშინის სიღრმეზე ორმო ამოთხარა, საკანდიტერო მთლად მიანგრ-მოანგრია, მეორე ოთახში მყოფი ექვსი კაცი დასჭრა, ახლო-მახლო სახლების ფანჯრები ჩაამტვრია და მრავალი კაცი დააყრუა. ათიოდე წუთის შემდეგ მთელი ქუჩა ჯარითა და ჟანდარმებით იყო გარ შემორტყმული (რ. ს.)

✦ ვარშავის ობერ-პოლიცმეისტერს აუარებელი მართლ-მადიდებელისგან მოსდის თხოვნა, ჩვენი დოკუმენტები მოგვეცით, რადგან **სარწმუნოება უნდა გამოვიცვალოთო** (რ. ს.).

✦ დეპეშამ გვაცნობა, 6 აპრილს ნოვოჩერკასკში აკურთხეს ეკლესია, რომელსაც ასის წლის განმავლობაში აშენებდნენო. ეს ეკლესია ორჯერ დაუმთავრებიათ და ორჯერვე დანგრეულა **ეკლესიის აშენება ექვს მილიონ მანათამდე დაჯდა** (რ. ს.).

✦ ბულიგინის-მიერ შემუშავებულ პროექტით, სახალხო წარმომადგენლობას ივნისში მოიწვევენ პეტერბურგში. გადაწყვეტილია, რომ ერობისა და ქალაქისა **წარმომადგენლებს ხალხი კი არ აირჩევს, არამედ მთავრობის-მიერ იქმნებიან დანიშნული** (რ. ვ.).

✦ უკანასკნელ დროს ფინანსთა სამინისტროში უცხოელ კაპიტალისტებმა წინადადება შეიტანეს, 800 მილიონ მანათს გასესხებთ, მხოლოდ იმ პირობით კი, რომ ზოგიერთი რკინის გზა უნდა დავვგირაოთ და შემოსავალიც ჩვენი იქნებაო. კაპიტალისტებმა ის გზებიც დაასახელეს, რომლის დაგირავებაც უნდოდათ (რ. ვ.).

✦ ფრანგულ გაზეთმა „მატენმა“ საჩივარი აღძრა „ნოვოე ვრემია“-ს წინააღმდეგ ცილის წამებისათვის. „მატენი“ „ნოვოე ვრემია“-ს უჩივის, ცილი დამწამა, ვითომ მე იაპონელებისაგან ვიყო მოსყიდული და რუსეთის წინააღმდეგაც იმიტომ ვწერდეო. «მატენ»-ს რუსეთის განთქმული ვექილები—კარაბჩევსკი და პლევაკო დაიცავენ. (რ. ვ.).

✦ ამერიკულ ჟურნალ „ოუკლიკ“-ის კორესპონდენტს ერნესტ პუულს კურსკის გუბერნიაში გლეხებთან მოლაპარაკება და მათის საჭიროების გაგება მოუნდომებია, მაგრამ გუბერნატორს ამის ნება არ მიუცია, გამოუგდია და დაჰმუქრებია კიდევაც. კურსკიდან პუული საქართველოში ჩამოვიდა, გურია-იმერეთი დაიარა და ინგლისში წავიდა (რ. ვ.).

✦ ამ დღეებში მოსკოვში დასრულდა სრულიად რუსეთის ქალთა კავშირის კრება, რომელსაც მთელის რუსეთის კუთხეებიდან დაესწრნენ წარმომადგენლები. მონაწილეობას იღებდა 500-ზე მეტი მანდილოსანი. თავმჯდომარეობდა ცნობილ ისტორიკოსის მილიუკოვის მეუღლე. კრებამ შემდეგი რეზოლუცია მიიღო: „ჩვენ, მოსკოვში შეკრებილი ქალები, საკითხის ყოველმხრივ განხილვის შემდეგ, ერთხელ კიდევ დავრწმუნდით, რომ **ქალთა მდგომარეობის გაუმჯობესება შეიძლება მხოლოდ ჩვენის სამშობლოს პოლიტიკურად განთავისუფლების შემდეგ**. ჩვენთვის საჭირო უფლებანი შეიძლება მოვიპოვოთ მხოლოდ მაშინ, როცა რუსეთის სახელმწიფო წეს-წყობილება ძირიან-ფესვიანად შეიცვლება და დამყარდება ახალი წესწყობილება, რომელსაც საფუძვლად დაედება თავისუფლება და თანასწორობა ყველასი, განურჩევლად სარწმუნოებისა, სქესისა და ეროვნებისა“. კრებამ, გარდა ამისა, ერთხმად მოითხოვა ომის შეჩერება, დამფუძნებელ კრების მოწვევა საყოველთაო, თანასწორ, პირდაპირ და საიდუმლო კენჭის ყრით, განურჩევლად სქესისა, სარწმუნოებისა და ეროვნებისა, თავისუფლება კრებებისა, სიტყვისა, ბეჭდვისა, სინიდისისა, ხელუხლებლობა პიროვნებისა, სადგომისა და განთავისუფლება სარწმუნოებრივ და პოლიტიკურ რწმენისთვის დასჯილებისა.

კორესპონდენცია

ბათუმი. 3 მაისს შესდგა ბათუმის საბჭოს მორიგი კრება, ქალაქის მოურავის თავმჯდომარეობით. ამ სხდომამ შედარებით მეტი ხალხი მოიზიდა, როგორც ხმოსანთაგან, ისე გარეშე მაყურებელთაგან. სხვათა შორის, ქალაქის მოურავმა თ-მა ანდრონიკაშვილმა მოახსენა საბჭოს იმ მომავალ კომისიის შესახებ, რომელმაც მშრომელთა და არა-მშრომელთა შორის ბათუმში თანხმობა და „კატთა შორის სათნოება“ უნდა ჩამოაგდოს; ეს შესაძლებელი ყოფილა, თუ შესდგა კომისია ქალაქის თვითმართველობისა, დამთვნის, ადმინისტრაციის, ვაჭარ-მრეწველთა, მექარხნეთა და მუშათა წარმომადგენელთაგან. ქალაქის თვით-მართველობას ნება-რთვა გამოუთხოვია ხელმწიფის მოადგილისაგან, რაზედაც დასტური მიუღია. ამ კითხვამ ცხარე კამათი გამოიწვია საბჭოში, თუმცა არსებითად არავინ არ შეჰხებია. თავმჯდომარემ წინადადება მისცა, რომ ამოერჩია მომზადებელი კომისია, რომელსაც უნდა გამოერკვია მომავალ კომისიის გეგმა. ხმოსანმა ბეთანოვმა შენიშნა: მუშები როგორ აირჩევენ თავიანთ წარმომადგენელთ, რომ არა აქვთ კრებისა და სიტყვის თავისუფლებაო. ამიტომ საჭიროა, ეს ნება გამოვუთხოვოთ, თორემ ისინი წარმომადგენლებს არ გამოგვიგზავნიანო. ხმოსან ჩილინგარიანს ხსენებულ კომისიაში მუშები საჭიროდაც არ მიაჩნია, რადგან მათ არც კი ესმით კარგად თავიანთი ინტერესიო. კამათის შემდეგ არჩეულ იქმნა მომამზადებელ კომისიაში: ქიქოძე, ქუთათელაძე, ელიავა, გოგიჯანოვი, დიმიტრიადი, საბაევი და ხუდადოვი. ამ კომისიაში მონაწილეობას მიიღებს გამგეობის წევრი ჟურული და აჭარულ მექარხნეთა და უცხოელების ფირმათა წარმომადგენელნი. ჩვენის ქალაქის მამებს პეტერბურგში არსებულ შიდლოვსკის კომისია მაინც რომ გახსენებოდათ, თავიდანვე ხელს აიღებდნენ ამ კომისიისაგან. მაგრამ იქ მუშებმა კომისიაში მონაწილეობის აუცილებელ პირობად მოითხოვეს მათის დელეგატების თავისუფლად არჩევა და ხელშეუხებლობა. რა პასუხი მიიღეს? თქვენ წარმომადგენელთა არჩევა მარტო თქვენზე არ იქნება დამოკიდებული და, ვინც უნდა აირჩიოთ, მათის პიროვნების უზრუნველ-ყოფასაც ვერ შეგპირდებითო. პეტერბურგის მუშებმა შიდლოვსკის მოახსენეს: არც ისე სულელები ვართ, რომ ჩვენთვის თავდადებული პირები ამოვირჩიოთ და თქვენს ჟანდარმებს ჩავუგდოთ ხელშიო. თქვენი კომისია ისევ თქვენთვის შეინახეთო. შეიძლება მიპასუხონ: რაც ვერ ჰქმნა და ვერ მოახერხა სენატორმა შიდლოვსკიმ, იმას მოაგვარებს თ-დი ანდრონიკაშვილიო, მაგრამ მერწმუნეთ, ვერსად და ვერავინ ვერ შესძლებს შეუძლებელს. არსებულ წეს-წყობილებაში ამისთანა კომისიის შესახებ ლაპარაკი წყლის ნაყვა და დონკიხოტობაა. და იმ პირებს, ვისაც სურს საზოგადო მოღვაწის სახელი ატარონ, არ შეშვენით, რომ კვლავინდებურ დრომოჭმულ პალიატიურ ზომებს ებღაუჭებოდნენ. როგორც მკითხველებს მოეხსენებათ, ამ ოთხის თვის წინად საბჭომ აირჩია გამგეობის წევრად ცნობილი გრ. ვოლსკი, რომელიც არ დაამტკიცა ადგილობრივმა ადმინისტრაციამ. ამის გამო ხელმეორედ დაინიშნა არჩევანი, მაგრამ საბჭომ გადასდო, რადგან ხმა დადიოდა ვოლსკის ამტკიცებს უმაღლესი ადმინისტრაციაო. ხმები არ გამართლდა და კენჭი უნდა ეყარა ქართველ მაჰმადიანს ნიჟარაძეს და აგრონომს ჩილინგარიანს, მაგრამ რადგან ვოლსკიმ ითხოვა, ცოტა ხნით კიდევ გადასდეთ არჩევანი, რომ ჩემი საქმე, ასე თუ ისე, დაბოლოვდეს, რასაც ამჟამად ვმეცადინეობო, და თან წაიკითხეს უმაღლეს ადმინისტრაციის მოწმობა, რომ ბ-ნი ვოლსკი ყოვლად საიმედო კაციაო,—საბჭომ შეიწყნარა ვოლსკის თხოვნა და ქალ. გამგეობის წევრის არჩევნები 13 ივლისამდე გადაიდო. ამ დღეებში „ჩერნომორსკი ვესტნიკ“-ში ექ. ვეიმბერგმა დია წერილით მიმართა ქალაქის თავს ანდრონიკაშვილს ექ. კალინოვსკის საქმის შესახებ, იმ კალინოვსკისა, რომელსაც ბაქოს ყოფილმა ქალაქის მოურავმა ნოვიკოვმა დიდი ზნეობრივი ბრალი დასდო ჟურნალ „ობრაზოვანიე“-ში. ამ ბრალდებას აქამდე ვერ დააღწია თავი ექ. კალინოვსკიმ. ნოვიკოვს, როგორც მოგეხსენებათ ახლა ამისთვის აღარ სცალია, მაგრამ ეს საქმე თვით კალინოვსკის ზოგიერთმა კოლეგებმა დაახვიეს ხელზე და არც უსაბუთოდ. ისინი ამბობენ, რომ თუ მართალია ის ამასაც ნოვიკოვი აბრალებს კალინოვსკის ამ უკანასკნელს ადგილი არ უნდა ჰქონდეს იმ დაწესებულებაში სადაც ამჟამად იგი მსახურობსო და თუ ცილს სწამებენ ამის გაგებაც საჭიროაო, ამ საქმის გამოსაკვლევათ ამას წინათ ექიმთა საზოგადოებამ აირჩია კომისია, მაგრამ რადგან ის საქმის გამორკვევას აჭიანურებს, ექ. ვეიმბერგი გაზეთის საშუალებით ამცნევინებს რა ამ საქმეს ქალაქის თავს ავალებს ამ საქმის დაბოლოებას.

ონ—ელიძე.

წერილი რედაქციის მიმართ.

ბ. რ.! საზოგადო კრიზისს გამო დურგალთა ამხანაგობამ უმჯობესად სცნო ხარჯების შესამცირებლად მაღაზია, რომელიც მოთავსებული იყო მიხეილის ქუჩაზე, გადაეტანა ელისაბედის ქუჩაზე, აწ არსებულ საამხანაგო ქარხანასთან. ამისთვის ნება გვიბოძეთ, შევატყობინოთ მკითხველ საზოგადოებას და ამხანაგობის თანამგრძნობელთ, რომ ხმები, გავრცელებული არა-მკითხე მოამბეთაგან, ვითომ ჩვენი ამხანაგობა იხურებოდეს, ჭორებია და, მაშასადამე, ყოვლად სიმართლეს მოკლებული. ჩვენ ამხანაგობის დახურვაზე არც გვიფიქრნია და ან რა ჭკუაში მოსასვლელია, ისიც იმ დროს, როდესაც ხელოსნებმა უფრო შეიგნეს ძალა საერთოდ მოქმედებისა.

გამგეობის თავმჯდომარე **გრ. თოიძე**.

ღამის დეპეშები

(რუსეთისა და პეტერბურგის დეპეშათა სააგენტოებისაგან)

12 მაისი.

ჰონკონგი, 11 მაისი. (რეიტერი). გემი „ცეცილია“ ცინტაუდან მოვიდა და კანტონის მდინარეში ღუზა გადააგდო. გემი შავად იყო შეღებილი, ეხლა კი რუხ ფერად შეიღება. ამბობენ, გემს წინადვე მომზადებულ მასალით დატვირთავენო. გემს თვალყურს ადევნებენ.

საიგონი, 11 მაისი. საფრანგეთის მთავრობამ გამოსცა სასტიკი კანონები და ტერიტორიალურ წყლებში ყველას ნახშირის მოტანა აუკრძალა.

ტოკიო, 11 მაისი. თავადი ფუშიმა სეულს მივიდა და ინახულა იმპერატორი, რომელმაც უმაღლესი ორდენი უბოძა. სეულ-ფუზანის რკინის გზას ოფიციალურად ხვალ გახსნიან. დაესწრებიან თავადი ფუშიმა, იაპონიის გზათა მინისტრი, მრავალი დეპუტატი და კორეის ხელმწიფის წარმომადგენელი.

ეხლახან პორტ-არტურიდან მოსულ მოხელის სიტყვით, პორტ-არტურში ოცზე მეტი სავაჭრო გემი ამოიღეს ზღვიდან. ზოგი მათგანი დიდის კიდევაც. ამჟამად იაპონელები რუსების სამხედრო გემებს იღებენ.

ტოკიო, 12 მაისი. ბალტიის ესკადრა ტონკინის მახლობლად იმყოფება. საიგონის მახლობლად 12 ტრანსპორტი სდგას. ბალტიის ესკადრა შორეულ აღმოსავლეთის წყლებს უახლოვდება. კრეისერი „გრომობოი“ ზოგჯერ ზღვაში გამოდის.

ლონდონი. ხმა გავრცელდა, დღეს დილით, ფორმოზას მახლობლად, საზღვაო ომი მოხდაო და ვითომ იაპონელები დამარცხდნენო. ეს ცნობა ოფიციალურად არ მტკიცდება.

პეტერბურგი. გენ. ლინევიჩის დეპეშა მის უდიდებულესობის სახელობაზე: „9 მაისს ჩვენმა რაზმებმა ისევ მიიტანეს იერიში მტრის პოზიციებზე სადგურ ნანჩენსკენ, მდინარე კაოხეს მარცხენა ნაპირზე. მცირე ბრძოლის შემდეგ იაპონელებმა პოზიციები მიატოვეს და წავიდნენ.

პარიზი, 11 მაისი (ჰავასი). პალატაში დაიწყო განხილვა პროექტისა შესახებ იმისა, რომ უცხოეთიდან შემოტანილ აბრეშუმზე $7^1/_2$ ფრანკი გადასახადი დაწესდეს და გაუქმება უგადასახადოთ აბრეშუმის შემოტანისა აღმოსავლეთ აზიიდან.

პეტერბურგი, 11 მაისი. თათრულ გაზეთის „ჰაიათ“-ის (ბაქოში გამოდის) რედაქტორმა ახმედ ბეგ-აღაევმა კოზეკოს აუწერა ის მძიმე და აუცილებელი პირობები, რომლებშიაც იმყოფება აღმოსავლეთ ენებზე წიგნების ბეჭდვისა და გაზეთების საქმე. კოზეკომ უპასუხა, აღმოსავლეთ ენებზე წიგნების ბეჭდვისა და გაზეთების გამოცემაზე ცენზურის საქმეს შემდგომაზე განვიხილავთ და იმედი მაქვს, იმ დროისთვის თათრულ პრესსის წარმომადგენელი მოვიწვიოთ კომისიაშიო. რაც შეეხება კავკასიას, ყველა საქმე ცენზურის შესახებ კავკასიის ნამესტნიკს შეეხებაო.

ნახიჩევანი, 12 მაისი. ახლო სოფელში მაჰმადიანი მოჰკლეს; ღამე სომეხი მოჰკლეს. უკანასკნელ დროს თათრები და სომხები ხშირად ხოცავენ ერთმანეთს. წარსულ ღამეს სოფელ ხალილუში სომხის ოჯახი ამოჟლიტეს.

ბაქო, 12 მაისი. ბალახანაში მუშათა საერთო გაფიცვა დაიწყო.

ეკატერინბურგი, 12 მაისი. ალაპაევის სამთო მადნების მუშები გაიფიცნენ.

კრემენჩუგი, 12 მაისი. კრიუკოვის რკინის გზის სახელოსნოების მუშები გაიფიცნენ.

პეტერბურგი, 12 მაისი. ნიჟეგოროდის ჟანდარმერიის უფროსი, როტმისტრის გრეშნერის მკვლელს სამხედრო დროის წესით გაასამართლებენ.

დროებითი რედაქტორი **ფ. გოგიჩაიშვილი**.
გამომცემელი **თ. პავლე ი. თუმანიშვილი**.

გამოსადეგი ცნობანი

პეტერბურგის ბირჟა, 10 მაისი 1905 წ.

სამ-თვიან ვექსილის კურსი:

ლონდონის ბირჟაზე 10 გირვ. სტ.	94,30
ბერლინისაზე 100 მარკაში	46,05
პარიჟისაზე 100 ფრანკში	—
ჩეკები ლონდონისაზე	94,85
ბერლინისაზე „	46,30
პარიზისაზე „	37,65
ბირჟის დისკონტი	$5^1/_2$—$6^3/_4$%
4% სახელმწიფო რენტა	$84^1/_8$
4%-ანი სახ. სესხი 1902 წ.	—
$4^1/_2$% შინაგანი სესხ. 1893 წ.	—
4% გირავნ. ფურც. სახელ. საად.-მამ. ბანკ.	—
5% პირ. შინ. მომ. ბილ. 1864 წ.	380
5% მეორე შინ. სესხ. მომ. ბილ. 1866 წ.	290
5% გირ. ფურც. სახ. საადგ.-მამ. ბანკ.	$255^1/_2$
5% ობლიგაციები ტფილ. საკრ. საზოგ.	—
$4^1/_2$% ობლიგაც. იმავე საზოგადოებისა.	—
5%-ანი ობლ. ბაქოს საკრ. საზ.	—
5% გირავ. ფურც. ტფილ. ს.-მამ. ბანკისა	—
$4^1/_2$% გირავნ. ფურც. ამავე ბანკისა	—
6% გირ. ფურც. ქუთ. საად.-მამ. ბანკისა	—
5% გირავნ. ფურც. იმავე ბანკისა	—
ა. ი. მანთაშევისა და ამხ. აქცია	$196^3/_4$
ძმ. ნობელის ნავთ. მრეწვ. ამხ. პაი	—

მიმოსვლა რკინის გზის მატარებლებისა

18 აპრილიდან.

(ფრჩხილებს გარედ ნაჩვენებია პეტერბურგის საათი, ფრჩხილებში—ტფილისისა).

ა) ტფილისიდან მიდის:

ბაქოს: 1) სწრაფი № 20 (მარტო სამშაბათობით) საღამოს 4 ს. 59 წ. (5 ს. 57 წ.); 2) საფოსტო № 4 საღამოს 7 ს. 29 წ. (8 ს. 27 წ.); 3) სამგზავრო № 6 ღამის 11 ს. 13 წ. (12 ს. 11 წ.); 4) საქონლისა და სამგზ. № 18 დილის 6 ს. 50 წ. (7 ს. 48 წ.).

ბათუმს: 1) წრაფი № 1 ღამის 10 ს. (10 ს. 58 წ.); 2) საფოსტო № 3 დილის 11 ს. 28 წ. (12 ს. 26 წ.); სამგზავრო № 5 დილის 6 ს. 29 წ. (7 ს. 27 წ.).

ერევანსა და ყარსს: 1) საფოსტო № 74/75 ღამის 11 ს. 50 წ. (12 ს. 48 წ.); 2) საქონლ. სამგზ. № 90/91 ნაშუადღევის 2 ს. 50 წ. (3 ს. 48 წ.).

ბორჯომს: სამგზავრო № 7/8 ნაშუადღევის 2 ს. 40 წ. (3 ს. 38 წ.).

ბ) ტფილისში მოდის:

ბაქოდან: 1) სწრაფი № 19 (მხოლოდ პარასკევს), ნაშუადღევის 2 ს. 28 წ. (3 ს. 26 წ.); 2) საფოსტო № 3 დილის 10 ს. 43 წ. (11 ს. 41 წ.); 3) სამგზავრო № 5 დილის 5 ს. 51 წ. (6 ს. 49 წ.); 4 საქონ.-სამგზავრო № 17 ღამის 11 ს. 18 წ. (12 ს. 16 წ.).

ბათუმიდან: 1) სწრაფი № 2 საღამოს 7 ს. 39 წ. (8 ს. 37 წ.); 2) საფოსტო № 4 საღამოს 6 ს. 29 წ. (7 ს. 27 წ.); 3) სამგზავრო № 6 ღამის 10 ს. 33 წ. (11 ს. 31 წ.)

ერევან-ყარსიდან: 1) საფოსტო № 76/77 დილის 5 ს. 24 წ. (6 ს. 22 წ); 2) საქონ.-სამგზ. № 92/93 ნაშუადღევის 3 ს. 28 წ. (4 ს. 26 წ.).

ბორჯომიდან: სამგზავრო № 8/7 დილის 6 ს. 20 წ. (7 ს. 18 წ.).

გ) ბაქოდან გამოდის:

ტფილის-ბათუმისაკენ: 1) სწრაფი № 19 (მხოლოდ ერთხელ კვირაში) ნაშუადამევის 1 ს. 18 წ. (2 ს. 16 წ.); 2) საფოსტო № 3 ნაშუადღევის 4 ს. 33 წ. (5 ს. 31 წ.); 3) სამგზ. № 5 შუადღის 12 ს. 38 წ. (1 ს. 36 წ.) 4) საქ.-სამგზ. დილის 5 ს. 10 წ. (6 ს. 8 წ.).

დ) ბათუმიდან გამოდის:

ბაქო-ტფილისისაკენ: 1) სწრაფი № 2 საღამოს 9 ს. 33 წ. (10 ს. 31 წ.); 2) საფოსტო № 4 დილის 5 ს. 55 წ. (6 ს. 53 წ.); 3) სამგზავრო № 6 დილის 10 ს.წ. (11) 6 7 წ.).

ე) ქუთაისიდან გამოდის:

ბაქო-ტფილისისაკენ: 1) ღამის 12 ს. 25 წ. (1 ს. 23 წ.); 2) დილის 9 ს. 43 წ. (10 ს. 41 წ.) და 3) ნაშუადღევის 1 ს. 46 წ. (2 ს. 44 წ.).

ბათუმისაკენ: 1) დილის 4 ს. (4 ს. 58 წ.); 2) ნაშუადღევის 1 ს. 46 წ. (2 ს. 44 წ.); 3) საღამოს 7 ს. 22 წ. (8 ს. 20 წ.).

შორაპნამდე: ნაშუადღევის 1 ს. 20 წ. (2 ს. 18 წ.).

საავადმყოფოები:

ქალაქის სახელმწიფო საავადმყოფო, მიხეილის ქუჩა, სახელმწიფო სახლი. ფასი საერთო ოთახში—12 მ., ცალკე ოთახში—60 მან. თვეში.

ქალაქის სამკურნალო. მუხრანის ქუჩა, სახლი ტერ-ოსიპოვისა. რჩევა 30 კაპ., ღარიბთათვის რჩევაც და წამლობაც უფასოა. სამკურნალოს გამგე ექიმი გ. თარხანოვი.

ქალაქის სამკურნალოს განყოფილებანი:

ავლაბრისა. კახეთის ქუჩა, სახლი ტერტეროვისა. გამგე ექიმი იგიტიანცი.

კუკიისა. ალექსანდროვის ქუჩა, სახლი მელქუმოვისა ექიმი კ. გძელიშვილი.

ხარფუხისა. ვორონცოვის ქუჩა, სახლი ედიგაროვი · ექიმი ტატეოსიანცი.

დიდუბის განყოფილება. ექ. შჩერბინა.

თვალის სამკურნალო. კრილოვის ქუჩა, ველიკოკნიაჟესკის ქუჩის კუთხე. ავადმყოფებს უფასოდ აძლევენ რჩევას. გამგე პუტიატა.

ქალაქის საავადმყოფო სულით ავადმყოფთათვის, უფასო, იმყოფება კოჯრის ქუჩაზე, ბარონესა ტიზენგაუზენის სახლში. ექიმი მ. გედევანიშვილი.

სიფლისის ავადმყოფ ქალთათვის საავადმყოფო იმყოფება ავლაბარში, პეტრე-პავლეს ეკკლესიასთან. 25 ადგილი უფასოა, 15 ადგილი—ფასიანია. თვეში 12 მან. გამგე ექიმი ისტამანოვი.

გადამდებ სენით ავადმყოფთათვის უფასო საავადმყოფო. გამგე ექიმი გულულიანცი.

1) ვორონცოვის ქუჩა, მეექვსე ნაწილი, სახლი ელემიანცისა.
2) დიდუბეში, სახლი გოლდლიუსტისა.

სახალხო ბიბლიოთეკები

„წერა-კითხვის გამავრცელებელ საზოგადოებისა“

ტფილისში:

1. სასახლის ქუჩაზე, თავად-აზნაურობის ქარვასლაში,
ღია არის დილით 10—2 საათ.
„ „ საღამ. 5—7 „
კვირა-უქმე—დილით 11—1 „
2. ნაძალადევში, ვოდოპროვოდის ქუჩა, № 113.
ღია არის დილით 10—2 საათ.
„ „ საღამ. 5—9 „
3. ოლგას ქუჩაზე, სახლი № 19.
ღია არის დილით 10—2 საათ.
„ „ საღამ. „ 5—8

Дозволено цензурою, Тифлисъ, 12 мая 1905 г.

ელექტრონით მბეჭდავი ამხანაგობა „შრომა“, ფრეილინის ქ., № 5.